# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 5 მაისი 2006 №100 (2722) ფასი 50 თეთრი





# ეროვნული დიდი ქორწილისთვის ემზადება

## დინამო-ინვესტი სპორტის მეფეს დედოფალს ურიგებს

ეროვნულ სტადიონზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები შესაძლოა, გაუთვალისწინებელმა გარემოებებმა შეაფერხოს. მიზეზთა გამო გადაიდო თბილისის მთავრობის სხდომა, რომელმაც უკვე გამართული კონკურსის შედეგები უნდა დაამტკიცოს. უამისოდ კი თბილისის მერია „დინამო-ინვესტთან“ მენეჯმენტ-კონტრაქტს, „დინამო-ინვესტი“ კი ქართულ და უცხოურ კომპანიებთან ხელშეკრულებებს ვერ აფორმებენ.

ეროვნული სტადიონის ინვესტორს ეს ერთადერთი პრობლემა როდი აწუხებს — განახლებული ეროვნული სტადიონის საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებისთვის დაქირავება ჩვენს კლუბებს გაზრდილი გადასახადის გამო შესაძლოა, პრობლემად ექცეთ, რაც ჩადებული ინვესტიციის ამოღებას დიდ კითხვის ნიშანს დაუსვამს. ასეთ პირობებში ერთ-ერთ შესაძლო გამოსავლად ეროვნული სტადიონის მასშტაბური სამძლეოსნო ტურნირებით დატვირთვა განიხილება. მიზანი კი მართლაც მასშტაბურია — თბილისი „სპორტის დედოფალ“ მძლეოსნობაში ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე განაცხადის გაკეთებას აპირებს.

# ინგლისის ნაკრები ორსულადაა



## მაკლარენი ერიკსონს კალთაში ჩაუსვეს



ინგლისის ნაკრების მწვრთნელი პირველი აგვისტოდან იქნება სტივ მაკლარენი, რომელმაც გუშინ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, სვენ გორან ერიკსონი კი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაემშვიდობება ნაკრებს. „მიდლსბროს“ ამჟამინდელი თავკაცი მაკლარენი 2002 წლიდან მუშაობს შვედის თანაშემწედ, საკმაო სანაკრებო გამოცდილებაც დაუგროვდა და სწორედ ამიტომაც ენდნენ მას.

არაჩვეულებრივი სურათი იქნება მსოფლიოს ჩემპიონატზე: ზის ორი კაცი გვერდიგვერდ — ერიკსონი და მაკლარენი. ერთი მთავარი მწვრთნელია, მეორე კი — მომავალი მთავარი. მსგავსი რამ, ალბათ, არასოდეს მომხდარა.

## საქართველო, თურ-ქულები და ევროშანსი

„ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო და ძალიან დაძაბულიც გამოვიდა. ამ მოგებით ევროპის ჩემპიონატზე გასვლა რეალური გახდა“ — გვითხრა გუშინ საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ რურუამ, სოფიაში რომ დავუკავშირდით.

ქართველებმა წარმატებით დაიწყეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფური ეტაპი — პირველ მატჩში 10:9 დაამარცხეს ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი თურქეთი.

ჩვენიანებიდან ჰეთ თრიქი მიხეილ ბალათურიამ და ტატო ნიკოლაიშვილმა მიითვალეს; თითო გოლი კი ზვიად ბლიაძემ, ბექა ქენქაძემ, ზურაბ რურუამ და ნოდარ რაფავამ გაიტანეს.

თურქეთის გარდა ჩვენს ჯგუფში არიან მასპინძელი ბულგარეთი, რუსეთი, კვიპროსი და მოლდოვა.

ცნობისთვის: ევროპის ჩემპიონატზე პირველ-მეორე ადგილებზე გასულები ითამაშებენ.




## რუსთაველები ჩემპიონობას მეოთხედ ეზოდებიან

# ეროვნულზე რეკონსტრუქცია ფერხდება!

## ჯერაც არგაფორმებულ ინვესტორს პრობლემა არ ელევა

ფეხბურთის ბევრი ქომაგისგან გამიგონია, ყველაზე კარგი, რაც დღეს ქართულ ფეხბურთში ხდება, ეროვნული სტადიონის რესტავრაციააო. სექტემბრის დადგომას და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებას მხოლოდ საფრანგეთ-იტალიის ცოცხლად ნახვის კი არა, განახლებულ „ეროვნულზე“ სტუმრობის იმედითაც ელოდება ათასობით ადამიანი. შესაბამისად, თითოეული ახალი ამბავი, რომელიც „ბორის პაიჭაძეს“ უკავშირდება, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს...




გაფარი ქათამაძის ფოტო

რა ხდება „ეროვნულზე“? მუშაობა გრძელდება, თუმცა, შესაძლოა, ამ პროცესში შემაფერხებელი გარემოებებიც გაჩნდეს. დედაქალაქის მერია მთავრობის სხდომის გამართვას მაისის დასაწყისში გეგმავდა, მერე საამისოდ თითქოს კონკრეტული თარიღი — 5 მაისიც დაითქვა, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, თბილისის მთავრობა დღეს არ შეიკრიბება. არადა, ამ სხდომას პირდაპირი კავშირი აქვს სტადიონის რესტავრაციასთან. სხდომაზე უნდა დამტკიცდეს უკვე გამართული ტენდერის შედეგები, რასაც „დინამო-ინვესტთან“ მენეჯმენტ-კონტრაქტის გაფორმება უნდა მოჰყვეს. რაც მეტად დაგვიანდება კონტრაქტის გაფორმება მერიასა და ინვესტორს შორის, მით მეტად გადაიწევს ინვესტორის შეთანხმება მომავალ კონტრაქტორ ფირმებთან, სტადიონის რეკონსტრუქციაში ამა თუ იმ ფორმით რომ უნდა მიიღონ მონაწილეობა. რესტავრაცია, მოგეხსენებათ, მხოლოდ ძველი სკამების აყრას ან მინდვრის საფარის აღებას არ გულისხმობს და თუ ნგრევას შენებაც არ მოჰყვა...

სანამ მერიასა და ინვესტორს შორის კონტრაქტის ოფიციალური პრეზენტაცია შემდგარა, რესტავრაციის პროექტსაც არავინ გაგვაცნობს. მხოლოდ ნახევრადოფიციალური წყაროებიდან მოკრებილი ინფორმაციით თუ შევადგენთ მოზაიკურ სურათს, როგორი უნდა იყოს „ეროვნული“ 2 სექტემბერს.

პირველი იარუსის სიმაღლეზე სტადიონის შემინვის თაობაზე უკვე გაცნობეთ. ისიც ადრევე ითქვა, რომ სტადიონს მართლაც „ვიპ-ლოჟები“ ექნება, რომელთა გაქირავებაც კონკრეტულ მატჩზე კი არა, ხანგრძლივი ვადით იქნება შესაძლებელი. ვიპ-ლოჟის წინ დაემატება კიდევ ერთი რიგი, რომელიც ასევე განსაკუთრებულად მოეწყობა და აღიჭურვება — ასე ვთქვათ, „ნახევრად ვიპი“.

კოლეგები დამეთანხმებიან, რომ თითქმის ყოველი თამაშის შემდეგ გვექმნებოდა პრესლოჟაში მოხვედრის პრობლემა, რადგან გუნდებისთვის განკუთვნილი გვირაბით გვიხდებოდა სარგებლობა. ახალი „ეროვნულის“ 150-კაციან, გადახურულ პრესლოჟას დამოუკიდებელი შესასვლელი ექნება დღევანდელი A და B ლოჟებისთვის განკუთვნილი კარებიდან. საპრესკონფერენციო დარბაზში სპეციალური ამოსასვლელით ისარგებლებენ გუნდების მწვრთნელები და ფეხბურთელები. მოეწყობა პრეს-ბარი, რომლით სარგებლობაც შესვენებისას იქნება შესაძლებელი.

პრეს და ვიპ-ლოჟები, ინდივიდუალური სკამები, ბოლო თაობის ფერადი ტაბლო და ასე შემდეგ, უმნიშვნელოვანესი, თუმცა მაინც გარეშე ფაქტორებია და, რაც უშუალოდ მაღალი დონის ფეხბურთისთვის არის საჭირო, ისიც სათანადო დონეზე მოეწყობა: სუპერთანამედროვე მინდვრის საფარი, დღევანდელთან შედარებით ორჯერ ძლიერი განათება და შესაბამისი დონის გასახდელები...

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ვინ უნდა ისარგებლოს ამ დონის სტადიონით და რამდენი იქნება გადასახადი? აქამდე ეროვნული სტადიონის დაქირავება ეროვნული ჩემპიონატის მატჩისთვის დაახლოებით 2 500 ლარი ღირდა. განახლებულ „ეროვნულს“ ამ ფასად არავინ არავის დაუთმობს და ჩვენი ინფორმაციით, მინიმალური გადასახადი 15 ათას ლარს თუ არ გასცდება, არც ჩამოუვარდება. ძნელად გვეგულება საქართველოში კლუბი, ჩემპიონატის შეხვედრებისთვის ამხელა თანხა გაიღოს, ევროტურნირებისა და სანაკრებო თამაშების ოდენობა კი შეზღუდულია და მხოლოდ ამის იმედად ჩადებული ინვესტიციის ამოღებაზე ფიქრი არარეალურია. მაშ, სად შეიძლება გამართოს ჩემპიონატის მატჩები თუნდაც იმავე თბილისის „დინამომ“? იგეგმება ეროვნული სტადიონის გვერდით არსებულ ხელოვნურსაფარიან მოედანზე ბოლო თაობის ხელოვნური საფარის დაგება და დაახლოებით სამიათასიანი ტრიბუნის მოწყობა. მას მსურველ კლუბებს გაცილებით ნაკლებ ფასად მიაქირავებენ.

მეორე გზა განახლებულ „ეროვნულზე“ შოუპროგრამების, ქართველი თუ უცხოელი შემსრულებლების კონცერტების გამართვაა. ამ სფეროში მოღვაწე ცნობილი ქართული კომპანიები მზად არიან, „დატვირთონ“ სტადიონი, თუმცა: ჯერ ერთი, ამას ძვირადღირებული სპეციალური დამცავი საფარის შეძენა სჭირდება, რომელიც კონცერტისას მოედანს უნდა გადაეგოს და მეორეც, ქვეყნის უმთავრესი სპორტული არენის მთლად საკონცერტო დარბაზად გადაქცევაც არ უნდა იყოს სასურველი. არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი: უკვე გაუწყებდით, რომ ეროვნულ სტადიონზე სარბენი ბილიკებისა და სამძლეოსნო სექტორების მოწყობა ევროპის მძლეოსნობის ფედერაციასთან შეთანხმებით ხდება. არ არის გამორიცხული, ქართული მხარე სერიოზული კამპანიის გაჩაღებას გეგმავდეს მძლეოსნობაში ევროპის ჩემპიონატის სამასპინძლოდ. თუნდაც ეს კამპანია წარუმატებელი აღმოჩნდეს, სრულიად შესაძლებელია მაღალი დონის სხვა სამძლეოსნო ტურნირების თბილისში გამართვა.

ზემოთ ნათქვამი ჯერჯერობით მაინც თეორიაა. პრაქტიკა კი ის არის, რომ დემონტაჟის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება, მშენებლობის დასაწყებად აუცილებელი მენეჯმენტ-კონტრაქტის გაფორმება კი ჭიანურდება...

**გიორგი ნოზაძე**

# თასების თასი ქარვასლაში

**13 მაისს** ქართული ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი გამარჯვებიდან 25 წელი სრულდება — თბილისის „დინამო“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კარგა ხანია, საზეიმო ღონისძიებებისთვის ემზადებიან.

დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ 1981 წლის 13 მაისს გამართულ თასების მფლობელთა თასის ფინალურ შეხვედრას და თბილისის „დინამოს“ მიერ ფინალამდე განვლილ გზას მიეძღვნება სპეციალური გამოფენა, რომელსაც 11-14 მაისს ქარვასლა უმასპინძლებს. ქომაგებს საშუალება ექნებათ, ფოტოების გარდა თასების მფლობელთა თასს და ფინალური მატჩის ბურთსაც შეავლონ თვალი.

ეს მხოლოდ ერთი შტრიხი იქნება ზეიმისა, რომელიც საცამეტმაისოდ იგეგმება. ამ დღესვე გაიმართება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა, საღამოს კი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართული ეროვნული თასის ფინალი, „ამერი“ — „ზესტაფონი“ დაგვირგვინებს.

**გიორგი ნოზაძე**

ოლიმპი

სპორტული გაზეთი „ოლიმპი“ 5 წლის გახდა.
სარბიელელები ყველა ოლიმპელს ვულოცავთ ამ თარიღს და ჩვენს საერთო საქმეში – ქართული სპორტის სამსახურში წარმატებებს ვუსურვებთ.

### ნორვეგია
ტიპელიგა
VI ტური

სტაბეკი 1:1 რუსენბორგი

### დანია
სუპერლიგა. XXXI ტური

ოლბორგი 1:0 სილკებორგი
ორჰუსი 0:1 ჰორსენსი
ესბიერგი 3:2 სიონდერისკე
ოდენსე 0:1 მიდტიულანდი
ვიბორგი 0:1 კოპენჰაგენი
ბრონდბიუ 3:1 ნორდსიელანდი

### ირლანდია
პრემიერდივიზიონი
გადადებული მატჩი

შელბურნი 2:1 დროჰედა

### ესპანეთი
პრიმერადივიზიონი
XXXVI ტური

რასინგი 2:3 რეალი

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. III ტური

ჰაკა 0:0 ინტერი
კუოპიო 0:0 ლაჰტი
მიუპა 0:2 ტამპერე
ტურკუ 0:2 ჰონკა
ვაასა 2:2 მარიეჰამნი

### ინგლისი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩები

სიტი 1:3 არსენალი
სანდერლენდი 2:1 ფულემი

ინგლისური „ფულემი“ ჰოლანდიური „ალკმაარის“ 33 წლის შემტევ შოთა არველაძით რომ დაინტერესდა, წინა კვირას გაუწყეთ. საქმე წინ მიდის და „ფულემს“ ქართველი ფორვარდი რომ სურს, ამას უკვე თვითონ არველაძეც ადასტურებს...



# შოთამ ფულემი დაადასტურა

## მაგრამ ფულებს ვინძლო ვან გაალი ამჯობინოს

— „ფულემის“ ინტერესის შესახებ შემატყობინეს. უკვე ისიც ვიცი, დაახლოებით რა პირობებს მთავაზობენ ლონდონელები.

— „ფულემის“ წარმომადგენლებს უშუალოდ ელაპარაკე?

— ჯერ არა, მაგრამ მათი სურვილის შესახებ ყველაფერი ვიცი, საქმეს ჩემი აგენტი ივან ბენეში უძღვება.

— გადაწყვეტილებას როდის მიიღებ?

— ზუსტად. არ ვიცი. სეზონი დამიმთავრდა და მოფიქრებისთვის საკმაო დრო მაქვს.

— „ალკმაართან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაკავშირებს — არის ხელშეკრულებაში ისეთი პუნქტი, რომ თუ სხვა გუნდს მოუნდა შენი გადაბირება, „ალკმაარი“ უპრობლემოდ გაგიშვებს?

— არა, კონტრაქტში ასეთი პუნქტი არ არის და თუ სხვაგან წავალ, ახალ კლუბს „ალკმაარისთვის“ ფულის გადახდა მოუწევს.

— „ფულემი“ პრემიერლიგის გუნდია და, ალბათ, „ალკმაარზე“ მდიდარიცაა — კარიერის მიწურულს, ალბათ, უფრო შეძლებულ გუნდში თამაში გიზიდავს...

— მთლად ასეც არ არის. ფეხბურთელობის შემდეგ სერიოზულად ვფიქრობ, მწვრთნელობა დავიწყო და „ალკმაარის“ მწვრთნელ ლუის ვან გაალისგან ძალიან ბევრს ვსწავლობ. შესაძლოა, ამან გადაწონოს უკეთესი პირობები და „ალკმაარში“ დავრჩე.

**დავით თავართქილაძე**

# ზესტაფონი სკამებს და ავტობუსებს ამზადებს

**ახლა** მთელი ზესტაფონი 13 მაისის მოლოდინშია. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი „ამერთან“ სათასო ფინალის უსიკვდილოდ მოგებას აპირებს, რათა ევროსარბიელზე გაიჭრას. ეს ერთადერთი გზაა უეფას თასზე მოსახვედრად, რადგან ჩემპიონატიდან გაუძნელდებათ ფეროელებს — მეოთხე ადგილზე არიან და კონკურენტი „დინამო“ დარჩენილ ორ თამაშში ქულას, ალბათ, არ დაკარგავს.

როგორც „ზესტაფონის“ პრესატაშე სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე მალე, ალბათ, ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება დაიწყება.

ზესტაფონის გამგეობა ყაბულსაა, 50 000 ლარი გადაიხადოს სკამების დამონტაჟებისთვის — ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. თითო სკამი ექვს-შვიდი დოლარი ღირს, თუმცა ამას ჩამოტანის ხარჯებიც ემატება. მთლიანობაში დაახლოებით 5700-5800 სკამი დამონტაჟდება და კონკრეტულად როდის დასრულდება სამუშაოები, ჯერ ზუსტად ვერ გეტყვითო, გვითხრა ფუტკარაძემ.

ქალაქის გამგეობის სურვილი რომ შეიტყო, ზესტაფონში მცხოვრებ ერთ-ერთ ბიზნესმენსაც უთქვამს, თანხას მეც დაგიმატებთო.

და. კიდევ: როგორც შევიტყვეთ, 13 მაისის ფინალზე „ზესტაფონის“ გულშემატკივრები საკმაოდ მრავლად იქნებიან სტადიონზე. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ქომაგებს უფასო ავტობუსები მოემსახურებათ...

**ილია ნანობაშვილი**





# ბუნდი არის, ბუმი გვინდა!

მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგას კიდევ ერთი რეგიონული გუნდი შეუერთდება — საჩხერის „ჩიხურამ“ პირველ ლიგაში პირველი ტურებიდანვე აგრძნობინა ყველას, აქ მთავარი მე ვარო და... ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ოფიციალურად გაიფორმა პირველობა. საჩხერელებს პირველი ლიგის კვალობაზე არც ფინანსები უჭირთ და არც შემადგენლობა.
ბადრი ბრეგვაძის გუნდში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, უმაღლეს ლიგაში თამაშით ქაცვები რომ დაუცვეთიათ. და, რაც მთავარია: ზემოიმერლები, მათივე თქმით, გასართობად არ გადმოდიან უმაღლესში...





## ბადრი ბრეგვაძე: უმაღლესს მომავლის თვალით ვუყურებთ

— ჩვენი წარმატება დიდი მონდომების, შრომის, ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე მოვიდა — გვითხრა გუშინ საჩხერელთა თავკაცმა ბადრი ბრეგვაძემ — ამასთან, სტაბილური დაფინანსება გვქონდა მთელი სეზონის მანძილზე და ეს თანხები გეგმაზომიერად იხარჯებოდა, ყველამ იცოდა თავისი საქმე. სუფთად ვთამაშობდით, 32 მატჩიდან ერთი-ორი თუ იყო ისეთი, მსაჯის მხრიდან რაღაც პატარა სიმპათია რომ ვიგრძენით. ეს იყო და ეს. ღმერთი ყოველთვის ძლიერს და სამართლიანს სწყალობს.

— პირველ ლიგაში ყველაზე ძლიერი მეტოქეობა ვინ გაგიწიათ?

— გამოვარჩევდი „მერანს“. „გაგრა“, „მესხეთი“ და „ამერი 2“-იც კარგი გუნდებია. „ვიტ ჯორჯია 2“ კი უხერხული მეტოქე იყო ჩვენთვის.

— „ჩიხურაში“ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელია. გუნდის ლიდერი ვინაა?

— მიჭირს თქმა. მე შეგნებულად დავაკომპლექტე გუნდი სხვადასხვა თაობის ფეხბურთელებით: მყავს 17-18 წლის ახალგაზრდები, საშუალო ასაკის ფეხბურთელები და ასევე ვეტერანებიც. გამოცდილები არიან თურმანიძე, ილურიძე, შუკაკიძე, სამხარაძე. შოთა ჩომახიძეს და დავით გოდერძიშვილს კი ლამის ყველა ქართულ კლუბში უთამაშიათ... მხოლოდ ახალგაზრდებისგან გაკეთებული გუნდის არ მჯერა — თუ მათ გვერდში ასაკოვანი და გამოცდილი მოთამაშეები არ უდგანან, ძნელია წარმატებაზე ფიქრი.

— მაყურებელი თუ დადის „ჩიხურას“ საშინაო მატჩებზე?

— ეგ ჩვენი ტკივილია. რატომღაც საჩხერეში საფეხბურთო ბუმი სულაც არ შეიმჩნევა. ყოველ შემთხვევაში, რა შედეგსაც ვაჩვენებდით, იმის შესაბამისი დასწრება არ იყო სტადიონზე. იმედია, ახლა უკეთესობისკენ შეიცვლება ყველაფერი.

— „ჩიხურას“ სპონსორი „ქართუ ბანკია“. მხოლოდ ის გაფინანსებთ?

— ძირითადად სწორედ „ქართუ ბანკი“ გვაფინანსებს და, მადლობა ღმერთს, არაფერს გვიჭირვებს. მათ გარდა ქალაქის გამგეობაც გვეხმარება შეძლებისდაგვარად — რას ვიზამთ, საჩხერე ღარიბი რაიონია და გამგეობას დიდი სახსრები არ აქვს. კლუბის ხელმძღვანელობაც ყველაფერს აკეთებს...

— როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა, საჩხერეში ახალი სტადიონი აშენდეს...

— კი, ამაზე სერიოზული ლაპარაკია. ახალი თუ ვერ აშენდა, ამ სტადიონს მაინც შეაკეთებენ. პირველ რიგში მინდვრის საფარი გამოიცვლება. ერთი სიტყვით, სტუმარ გუნდებს ოღროჩოღრო გაზონს არ დავახვედრებთ.

— უმაღლეს ლიგაში შემადგენლობის გაძლიერებაც დაგჭირდებათ...

— დიახ, სამ-ოთხ ფეხბურთელზე უკვე გვიჭირავს თვალი. უნდა გავძლიერდეთ და უმაღლეს ლიგაში ადგილი დავიმკვიდროთ. პირველივე სეზონში დიდ მიზნებს ვერ შევეჭიდებით, მაგრამ მჯერა, არც გავვარდებით.

**ილია ნანოგაშვილი**

# თოთო მერანმა უმაღლესში ჩააბარა

## დილარ ხაბულიანმა ძიუდო ფეხბურთით გააგრძელა



თბილისის „მერანი“ სულ ორი წლის გუნდია და მომავალი სეზონიდან უკვე უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. 18-20 წლის ბიჭებით დაკომპლექტებულმა გუნდმა პირველი ლიგის ჩამთავრებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა უძლიერესთა შორის თამაში და ახლა კიდევ უფრო დიდი ნაბიჯებისთვის ემზადება. არადა, „მერანი“ შარშან პირველი ლიგის აუტსაიდერი იყო და ლიგაში მხოლოდ მას შემდეგ დარჩა, რაც ფედერაციამ გუნდების რაოდენობა 18-მდე გაზარდა.
ამ ახალი გუნდის პრეზიდენტი და პატრონი ქართულ სპორტში საკმაოდ ცნობილი და ავტორიტეტული კაცი, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანია, რომელმაც თავის მეგობრებთან ერთად დააფუძნა გუნდი და აგერ, წარმატებასაც მიაღწია. დანარჩენს კი თავად დილარ ხაბულიანის ამ ინტერვიუდან შეიტყობთ...

— ძალიან კმაყოფილი და გახარებული ვარ. ჩვენი გუნდი ორი წლისაა და უკვე უმაღლესი ლიგის საგზური მოვიპოვეთ. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ „მერანი“ თბილისის გარეუბანში, ისნის რაიონში დაარსდა და ჩვენი ფეხბურთელების 90 პროცენტიც სწორედ ამ უბნელია. თანაც გუნდი სულ 18-20 წლის ბიჭებითაა დაკომპლექტებული და ვფიქრობ, წმინდა სპორტულის გარდა, სხვა კარგი საქმეც გავაკეთეთ, უბნის ახალგაზრდობას ჯანსაღი ინტერესი გავუჩინეთ. ვულოცავ მთელ გუნდს, მის ქომაგებსა და ფეხბურთელთა მშობლებს „მერანის“ ასეთ წარმატებას.

— უმაღლეს ლიგაში გადასვლა სეზონის დასაწყისშივე დაგეგმეთ?

— არა, უმაღლესის საგზურზე სეზონის დაწყებამდე არც კი გვიფიქრია. შარშან პირველი ლიგიდან გავვარდით, მაგრამ გუნდების რაოდენობა 18-მდე გაიზარდა და ჩვენც ლიგაში ამის გამო დავრჩით. წლეულსაც მოკრძალებული მიზნები გვქონდა. თამაშიდან თამაშამდე კი ჩანდა, რომ გუნდს მეტი შეეძლო, მეტი პერსპექტივა დავინახეთ. გუნდმა იბრძოლა და ვფიქრობ, დამსახურებული შედეგიც მივიღეთ — ორი ტურით ადრე გავინაღდეთ უმაღლეს ლიგაში გადასვლა.

— „მერანის“ პრეზიდენტი, გასაგებია, თქვენ ბრძანდებით. დამფინანსებელი ვინ არის?

— პრეზიდენტი თავად ვარ და ძირითადი დამფინანსებელიც მე და ჩემი მეგობრები გახლავართ. ასე ვთქვათ, ფუნქციები და დაფინანსების მიმართულებები განაწილებული გვაქვს. სადღეისოდ გუნდში არანაირი პრობლემა არ არის: „მერანი“ კარგი ფეხბურთელებითა და კარგი სამწვრთნელო შტაბით დაკომპლექტებული გუნდია — მწვრთნელი დავით ეჯიბიშვილი თავის საქმეს კარგად უძღვება, რისი დასტურიც წლევანდელი შედეგია.

— ისე, ყოფილი ძიუდოისტი და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი ფეხბურთში როგორ აღმოჩნდით?

— რა გითხრათ, ასე მოხდა. მეგობრებმა გადავწყვიტეთ ფეხბურთის გუნდის გაკეთება და გავაკეთეთ კიდეც.

— ფედერაციისა და კლუბის პრეზიდენტობას ერთმანეთს როგორ უთავსებთ?

— საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ევროპის საუკეთესო ფედერაციაა, მსოფლიოში კი იაპონიას და კორეას თუ ჩამოვრჩებით. ძიუდოში საქმე აწყობილ-დალაგებულია და პრობლემა არ არის. ყველამ იცის თავისი საქმე: ძიუდოში სოლიდური და მცოდნე ხალხი მუშაობს.

— როგორც გავიგეთ, „მერანი“ სტადიონის აშენებასაც აპირებს...

— აპირებს კი არა, მშენებლობა უკვე დაწყებულია და ცოტა ხანში საშუალო ევროპული სტანდარტების შესაბამისი სტადიონი გვექნება.

— სად იქნება ეს სტადიონი?

— ისნის რაიონში, სადაც ჩამოყალიბდა „მერანი“. როგორც გითხარით, ფეხბურთელთა 90 პროცენტი სწორედ ამ რაიონში ცხოვრობს. სტადიონის ახლოს კი ბაზის მშენებლობასაც ვაპირებთ. თავადაც სპორტსმენი ვარ, ათი წელი საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვიყავი და კარგად ვიცი ბაზის ფასი. შეკრებისა და ორ-სამჯერადი ვარჯიშების გარეშე მაღალ მიზნებზე ფიქრიც კი შეუძლებელია.

— ისიც გავიგეთ, ეროვნული სტადიონიდან აღებული ბალახი სწორედ თქვენს სტადიონზე დაიგებაო...

— დიახ, ასეა. დიდი მადლობა სპორტსაზოგადოება „დინამოს“, რომელმაც ეს ბალახი უსასყიდლოდ გადმოგვცა.

— უმაღლეს ლიგაში გადასულები გაძლიერებას არ აპირებთ?

— როგორ არ ვაპირებთ — ჩვენ სოლიდური გუნდის გაკეთებაზე ვფიქრობთ. წლეულს „მერანის“ მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. ასე ვთქვათ, უპრეტენზიოდ ვითამაშებთ, მომავალი სეზონიდან კი უკვე სერიოზული გეგმები გვექნება. ფეხბურთელები დაღვინდებიან, უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილებას მიიღებენ და მიზნის მიღწევაც უფრო რეალური გახდება.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ნალჩიკის „სპარტაკის“ მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძის ეროვნულ გუნდში მოწვევით დაინტერესდა და მას შესაბამისი წინადადებითაც მიმართა. ფედერაციის წარმომადგენლები ჩიხრაძეს ორიოდ დღის წინ მოსკოვში, „ტორპედო“ — „სპარტაკის“ მატჩის შემდეგ შეხვდნენ და საქართველოს ნაკრებში თამაში შესთავაზეს...



# დაძახება ადვილია, პასპორტია ძნელი

## ჩიხრაძეს ნაკრები უთხრეს, ბოლო სიტყვა ვერა

— დიახ, ფედერაციის წარმომადგენლები „ტორპედო“ — „სპარტაკის“ მატჩს დაესწრნენ, რომელიც 0:2 წავაგეთ და შემდეგ გავისაუბრეთ კიდეც. მათ საქართველოს ნაკრებში თამაში შემომთავაზეს, რაზეც დაუფიქრებლად ვუპასუხე, რომ თანახმა ვარ — გვითხრა გუშინ ალექსანდრე ჩიხრაძემ — ოღონდ, ვუთხარი, რომ ერთი პრობლემაა — მოქალაქეობა. რუსეთის მოქალაქე ვარ და თუ შესაძლებელია ჩემთვის ორმაგი მოქალაქეობის გაკეთება, პრობლემა არ იქნება, ვითამაშებ ეროვნულ გუნდში-მეთქი.

— მერე?

— მიპასუხეს, საქართველოში ორმაგი მოქალაქეობა კანონით დაუშვებელიაო. ასე დავშორდით ერთმანეთს, თუმცა მოგვიანებით დამიკავშირდნენ და მითხრეს, საქართველოში ცხოვრების უფლებას მოგცემთო. მოკლედ, შემოთავაზება უკვე მივიღე, საქართველოს ნაკრებში თამაშზე თანახმა ვარ და ახლა იურიდიული საკითხებია მოსაგვარებელი. ამ პრობლემაზე მუშაობა გრძელდება და ვნახოთ, რა როგორ იქნება.

— საბოლოო პასუხს როდისთვის ელი?

— არ ვიცი. მოგვიანებით გოგიტა გოგუასაც დაუკავშირდნენ და უთხრეს, როგორც კი საკითხი გაირკვევა, ჩიხრაძეს მაშინვე შევეხმიანებითო. მეც ველი ფედერაციის სიტყვას. ერთხელაც ვიტყვი, რომ მზად ვარ, საქართველოს ნაკრებში პირველსავე დაძახილზე ჩამოვიდე.

*ისე, ამ ბოლო დროს უცხო ქვეყნების რამდენიმე მოქალაქემ საქართველოს მოქალაქეობა უკვე მიიღო და ახლა საქართველოს ღირსებას სხვადასხვა სახეობაში იცავენ...*

**კობა ინასარიძე**

# იბერიული მონოპოლია

**გუშინ** დასრულდა ფუტზალში საქართველოს ჩემპიონატის ფინალური სერია: „იბერია 2003“-მა სამი დღის წინ 9:0 დაამარცხა „ნიკორა“, გუშინ კი 2:0 იმარჯვა და მესამე მატჩის გამართვა საჭირო აღარ გახდა. გუშინდელ შეხვედრაში გოლები ბრაზილიელმა ლეგიონერმა ლუიზაო სანტოსმა და ნიკა ჩალაძემ გაიტანეს.

ფინალური შეხვედრის შემდეგ ჩემპიონის გარდა სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებსაც გადაეცათ საქართველოს ფუტზალის ასოციაციის პრიზები.

ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელად „იბერია 2003“-ის ბრაზილიელი დამრიგებელი მარსელო რიბეირუ დუ ამარალი დაასახელეს; საუკეთესო მეკარე ასევე „იბერია 2003“-ის კარის დარაჯი ჯაბა ჯამბურია, ხოლო საუკეთესო ფეხბურთელად მისივე თანაგუნდელი და კაპიტანი გიორგი თორთლაძე. ჩემპიონატის ბომბარდირობა 104 (!) გოლით „ცენტრ-პოინტის“ ფორვარდმა არჩილ ბოკერიამ მოიპოვა.

უკვე ექვსგზის ჩემპიონი „იბერია 2003“ საქართველოს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში წარადგენს, რომელიც სექტემბერში დაიწყება.

**გიორგი ნოზაძე**

# ლუქსემბურგმა ცანკერს სირთულე დაანახვა



**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებს შემოდგომაზე რომ ურთულესი შესარჩევი ციკლი ელის, ლუქსემბურგულმა ამბებმაც დაამტკიცა. გეცოდინებათ, ჰერბერტ ცანკერის ნაკრებს ევროჩემპიონატის შესარჩევში მეტოქეებად გერმანია, რუსეთი და მაკედონია ჰყავს. ამ ჯგუფის მატჩები თბილისში გაიმართება და ორი საუკეთესო გავა მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე.

და რატომაა ქართველების ჯგუფი ურთულესი? მეტი რაღა, გერმანია და რუსეთი ლუქსემბურგში დაწყებულ 2006 წლის ევროპის ჩემპიონატის რვაგუნდა ფინალურ ეტაპზე თამაშობენ. ისინი სხვადასხვა ჯგუფში არიან და ორივემ მოგებით დაიწყო ტურნირი. მართალია, ამ ტურნირზე 1989 წელს დაბადებულებსაც შეუძლიათ თამაში, ხოლო ოქტომბრიდან მხოლოდ 1990 წელს და მომდევნო წლებში დაბადებულებს, მაგრამ მაინც ყურადსაღები მომენტია...

რუსმა 17-წლამდელებმა უნგრეთს 1:0 აჯობეს მოროზოვის 78-ე წუთზე გატანილით.

***რუსეთი:*** *პომაზანი, მოროზოვი, სამსონოვი, ვლასოვი, გაგლოევი (მოჩალინი 80), ფომინი, პრუდნიკოვი (კოროცაევი 50), გორბატენკო, რიჟოვი (ვარენიჩი 66), ამორხანოვი, კაშიევი.*

გერმანიამ კი 4:0 გაანადგურა ბელგია — გოლები გორ გირლისმა (მე-2 წუთზე), მანუელ ფიშერმა (35), ტონი კროოსმა (51, პენალტით) და რაფაელ ლორენცმა (80) შეაგდეს.

***გერმანია:*** *ცილერი, კოპლინი, ვრზოგიჩი, იუნგვირტი, ს. მენდერი, მარინი (ვრანჩიჩი 50), ლ. ბენდერი, ფიშერი, კროოსი (ლატცა 75), გებჰარდი (ლორენცი 66).*

სხვათა შორის, რუსეთის ნაკრებს ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი იგორ კოლივანოვი წვრთნის, გერმანელთა თავკაცი კი ბერნდ შტიობერია.

**ილია ნანობაშვილი**

# დიადორას 70

## რას დატოვებს მაცოლენი თბილისში?



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ მთელი დღე გრძელდებოდა მოლაპარაკება შესაძლო ტექნიკურ სპონსორ „დიადორასთან“. როგორც ფედერაციის პრესსამსახურმა გვაცნობა, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, თუმცა იმის შანსი, რომ ჩვენს ნაკრებებს სწორედ ეს კომპანია შემოსავს, დაახლოებით 70 პროცენტია. ყოველ შემთხვევაში, ფედერაციის ხელმძღვანელობა სწორედ იტალიელებთან თანამშრომლობისკენ იხრება.

მოლაპარაკებები დღეს გაგრძელდება, საღამოს კი „დიადორას“ წარმომადგენელი რიკარდო მაცოლენი სამშობლოში გაემგზავრება. თუკი დეტალების შეთანხმება მოესწრო, შესაძლებელია, „დიადორასა“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის კონტრაქტს დღესვე დაესვას ბეჭედი.

**გიორგი ნოზაძე**




**ს.კ. ლოკომოტივი**
**ახორციელებს**
**ს.კ. ბარსელონას**
ტალანტების მოძიების პროგრამას
და ატარებს სელექციას
1991-1998 წლებში დაბადებულ
ბავშვებში. რეგისტრაციისათვის
გთხოვთ მობრძანდეთ 1 მაისიდან
20 მაისამდე (11-15 საათამდე)
მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე,
ჭავჭავაძის გამზირი №74.
თან იქონიეთ ბავშვის დაბადების
მოწმობა, ფოტოსურათი
და მშობლების პირადობის
დამადასტურებელი მოწმობა.
**საკონტაქტო ტელეფონი: 23-04-58**

# დიდა: ფული მინდა



**ამბობენ,** რომ დიდას და „მილანს“ საკონტრაქტო გაუგებრობა მოუვიდათ, რის გამოც ბრაზილიელი მეკარის მომავალი შავ-წითელთა გუნდში კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარა.

დიდას ამჟამინდელ ხელშეკრულებას ვადა 2007 წლამდე აქვს, რომლის გახანგრძლივებისგანაც, იტალიური გაზეთების ცნობით, მეკარემ ჯერჯერობით თავი შეიკავა და საუბარი სეზონის ბოლოსთვის გადადო. თურმე ბრაზილიელს ახალი პირობების მოთხოვნა აქვს განზრახული, რასაც მილანელთა შეფები გაულიზიანებია. ახლა საქმე ასეა: თუ ხელშეკრულება ახლავე არ განახლდება, „მილანი“ დიდას გაყიდის, რადგან ერთი სეზონიც რომ მოიცადოს, გაისად ამ დროს მის სანაცვლოდ ერთ ცენტსაც ველარ მიიღებს.

ვინ უნდა ჩადგეს შავ-წითელთა კარში დიდას სხვაგან წასვლის შემთხვევაში? ამწუთას მხოლოდ კრისტიან აბიატის დასახელება შეიძლება. მოგეხსენებათ, აბიატი ერთი სეზონით „იუვენტუსში“ იყო გაქირავებული და როგორც კი სეზონი დამთავრდება, „მილანს“ დაუბრუნდება. რაც შეეხება ჭორებს, „მილანის“ ვიცე პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კატეგორიულად უარყო ხმები, თითქოს „იუვენტუსიდან“ მათთან ჯანლუიჯი ბუფონი გადადის.

ერთი სიტყვით, 32 წლის დიდას საქმე ჯერ უცნობია. ფაქტია, რომ დასასრულს მიტანებული სეზონი მისთვის კარგი ნამდვილად არ იყო, ვინაიდან ბევრი უხეში შეცდომა დაუშვა. ასეთივე იყო მისი პირველი იტალიური სეზონიც, თუმცა 2002 წლიდან შეუცვლელი გახდა და 2003 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გადამწყვეტი როლიც ითამაშა — „მილანმა“ პენალტებით დაამარცხა „იუვენტუსი“.

**პაპუნა ძიდია**

# ტოტენჰემი ბარსას უქომაგებს

**უეფამ** გარკვევით თქვა: იმ შემთხვევაში, თუ „არსენალი“ — რომელიც პრემიერლიგის ზედა ოთხეულში ჯერ ვერაა — ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსელონას“ დაამარცხებს და თასს მოიგებს, „ტოტენჰემ ჰოთსპური“ (ამჟამად პრემიერლიგაში მეოთხეზეა) მომავალ სეზონში ამავე შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

გავიხსენოთ შარშანდელი ამბავი. დაახლოებით ერთი წლის წინ უეფამ ჩემპიონთა გათამაშებაში მონაწილეობის ნება დართო „ლივერპულს“, რომელსაც იმ დროს შეჯიბრება ახალი მოგებული ჰქონდა, მაგრამ პრემიერშიფში მხოლოდ მეხუთე იყო. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ უეფას კანონი გამარჯვებულის შემდგომ შეჯიბრებაში ავტომატურად ჩართვას არ ავალდებულებდა, ლიგა თასის ბოლო მფლობელის გარეშე არ დატოვეს. ამ ამბავმა თავიდან ძალიან ანერვიულა „ევერტონი“, რომელმაც ინგლისის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა და „ლივერპულის“ ტრიუმფის გამო თავისი კუთვნილი ადგილის დაკარგვა არ უნდოდა. საბოლოოდ ევერტონელებმა დამსახურებულად მიიღეს თავიანთი ადგილი საკვალიფიკაციო ეტაპზე მაგრამ უეფა ამოცანის წინაშე დადგა: ასეთი რამ აღარ უნდა განმეორებულიყო. საამისოდ ევროპული ფეხბურთის მმართველებმა დაადგინეს, რომ ამიერიდან ლიგის ნებისმიერი გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს მომავალ გათამაშებაში, ოღონდ მისი ადგილი ქვეყნისთვის დამატებითი არ იქნება.

ასე და ამგვარად, თუ წლეულს ჩემპიონთა ლიგაში „არსენალი“ გაიმარჯვებს, იმ ინგლისურ გუნდს, რომელიც მეოთხე ადგილისთვის იბრძვის, შეუძლია თავი აღარ შეიწუხოს.

უეფას აღმასრულებელი დირექტორი ლარს-კრისტერ ოლსონი:

„ვშიშობ, რომ „ტოტენჰემს“ ცუდი ამბავი უნდა შევატყობინო. ჩვენ ახალი წესები შემოვიღეთ და მათ აღარავინ შეცვლის. ამ წესებს ალტერნატივა არ აქვს“.

აქვე დავძინოთ, რომ ლიგის მოახლოებულ ფინალში შოტლანდიური „სელტიკი“ „ბარსელონას“ ქომაგობს, რადგან ამ შემთხვევაში სარეიტინგო ადგილები გადათამაშდება და გლაზგოს გუნდი საკვალიფიკაციო შეჯიბრების გარეშე მოხვდება ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

**პაპუნა ძიდია**



„ტოტენჰემის“ მწვრთნელი მარტინ იოლი

# მოჯი ტელეფონმა გაყიდა

## იუვენტუსი პროკურატურას ეთამაშება

**„იუვენტუსის“** თავზე შავი ღრუბლები შეგროვდა. იტალიის ფეხბურთის ფედერაცია და ტურინის პროკურატურა ტურინული კლუბის გენერალური დირექტორის, ლუჩანო მოჯის შავ-ბნელი საქმიანობის გამოძიებას იწყებს. საქმე კი თაღლითობას ეხება. მოჯი თურმე „იუვეს“ მატჩებისთვის სასურველ მსაჯებს ირჩევდა. საუბარია ორ თამაშზე, „მილანთან“ და „მესინასთან“, რომლებიც 2004 წლის მიწურულს გაიმართა.

„გაძეტა დელლო სპორტმა“ და „კორირე დელა სერამ“ გამოაქვეყნეს მოჯისა და პიერლუიჯი პაირეტოს (მსაჯთა კომისიის ყოფილი წევრი) სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, სადაც მოჯი სთხოვს, რომ მისთვის სასურველი მსაჯები შეურჩიოს.

„იუვეს“ გენერალურ დირექტორს სხვა რამესაც აბრალებენ. კერძოდ, 2004-ის ზაფხულში, როცა „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე შვედურ „იურგორდენს“ შეხვდა, დირექტორმა პაირეტოს ამ მატჩისთვისაც „სთხოვა“ მსაჯები. მაშინ პიერლუიჯი პაირეტო უეფას მსაჯთა კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი იყო და ამ საქმეზე ხელი მიუწვდებოდა.



ლუჩანო მოჯი, ფაბიო კაპელო და ანტონიო ჯირაუდო

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, მათ უკვე მიიღეს საუბრის ჩანაწერის ასლი ტურინის პროკურატურიდან. ეს ამბავი ფედერაციაში მარტშივე იცოდნენ, მაგრამ ახლაღა გაამხილეს. „იუვეს“ დაჯარიმება ელის, მაგრამ ჯარიმის სახე ჯერ არ დაუდგენიათ.

გარდა ამისა, ფედერაცია იძიებს ლუჩანო მოჯის შვილის, ალესანდროს საქმიანობასაც, რომელიც ფეხბურთელთა აგენტების ასოციაციის პრეზიდენტია.

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „ბლექბერნის“ მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა კლუბთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. უელსის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა გუნდი უეფას თასზე გაიყვანა და ამაგიც ამიტომ დაუფასეს.

**ფრანგული** „სენტ ეტიენის“ მწვრთნელი ელი ბოპი სეზონის დასრულების შემდეგ კლუბს დატოვებს. ბოპმა „სენტ ეტიენი“ 2004-ის ივლისში ჩაიბარა და კონტრაქტის ვადა 30 ივნისს უმთავრდება.

**იტალიური** „უდინეზეს“ თავკაცმა ჯოვანი გალეონემ კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ გალეონემ გუნდი ერთი თვის წინ ლორის დომენისინისგან დროებით ჩაიბარა, მაგრამ შეფებს მისი მუშაობა მოეწონათ და 2007-ის ივნისამდე დაიტოვეს.

**ინგლისურ** „მანჩესტერ იუნაიტედს“ ტოტენჰემელი მაიკლ კარიკის შეძენა უნდა. კარიკი ცენტრალური ნახევამრცველია და ფერგიუსონის გუნდსაც სწორედ ამ პოზიციაზე გაუჭირდა მას შემდეგ, რაც როი კინი წავიდა. „ტოტენჰემს“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონ გირვანქას სთავაზობენ და თვითონ კარიკიც წასვლას ლამობს.

**პორტუგალიელმა** ნახევარმცველმა კოშტინიამ რუსულ „დინამოსთან“ კონტრაქტი გაწყვიტა. 2005 წლის მაისში მოსკოვურ გუნდში გადასულ ფეხბურთელს იქაური გარემო არ მოეწონა და ხელმძღვანელობასთან თავიდანვე კონფლიქტი მოუვიდა. იგი უდისციპლინობის გამო ძირითად გუნდს რამდენიმე თვით მოსწყვიტეს. 31 წლის კოშტინია ამ პერიოდში „ბელენენსეშთან“ ერთად ვარჯიშობდა და ეიმედება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდება.

**ინგლისურ** „ნიუკასლს“ მომავალ სეზონშიც, ალბათ, გლენ როედერი უთავკაცებს. როედერმა თებერვალში გრემ სუნესი დროებით შეცვალა, მაგრამ სათანადო ლიცენზია არ აქვს, რომ ოფიციალურად გააფორმონ მთავარ მწვრთნელად, თუმც პრემიერლიგის შეფებმა ეგებ გამონაკლისი დაუშვან.

**პორტუგალიური** „ბრაგას“ უფროსობამ გადაწყვიტა, რომ გუნდის ამჟამინდელ მწვრთნელ ჟეზუალდო ფერეირასთან თანამშრომლობა აღარ გააგრძელობს. იქაური პრესის ცნობით, შესაძლოა, „ბრაგა“ გუნდის ყოფილმა მოთამაშემ კარლოს კარვალალმა ჩაიბაროს, რომელიც ახლა სპორტულ კომენტატორად მუშაობს.

**ჩეხური** „ბუდეიოვიცეს“ ნახევარმცველი კარელ პობორსკი დაშავდა და დაახლოებით ორი კვირა ვერ ითამაშებს. 34 წლის ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მომზადებდება და ჩეხეთის ნაკრებს დაეხმარება.

# ჩემპიონი გასახდელიდან გაძარბოდა

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი XXXVI ტური

**სელტა 0:1 ბარსელონა**
0:1 ეტოო (55)
**სელტა:** პინტო, ლეკი, ანხელი, პაბლო კონტრერასი, ოუბინია, ნუნიესი (ხორხე 68), ხონათანი, კანობიო, ირინეი (ხ. პერერა 76), ფ. ბაიანო, დე რიდერი (გ. ლოპესი 68)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
**ბარსელონა:** ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი (სილვინიო 65), დეკო, ვან ბომელი (ხავი 60), ინიესტა, რონალდინიო (ედმილსონი 56), ეტოო, ლარსონი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ანხელი, ბელეტი, ირინეი, პინტო, ედმილსონი, კონტრერასი, სილვინიო
მსაჯი: პერეს ლიმა
30 000 მაყურებელი

**მალიორკა 2:1 ვალენსია**
1:0 არანგო (8), 1:1 ანგულო (16), 2:1 დონი (47)
**მალიორკა:** პრატსი, კორტესი, მასიელი, ნუნიესი, ბალესტეროსი, ბასინასი, პერეირა, დონი (ტუნი 87), არანგო, ხონასი (კამპანო 89), ვიქტორი (ფარინოსი 76)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, რ. აიალა, მარჩენა (ედუ 56), მორეტი, ბარახა (უგო ვიანა 83), რეგეირო, ალბიოლი, აიმარი (მისტა 67), ვილია, ანგულო
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
გაფრთხილება: დონი, არანგო, აიალა, ხონასი, უგო ვიანა
მსაჯი: პერეს ბურული
18 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 0:1 ოსასუნა**
0:1 მუნიოსი (15)
**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, ა. ლოპესი, მოლინერო, პერეა, პაბლო, გალეტი (მარკეში 69), იბაგასა, ფ. ვარელა (მ. პეტროვი 6), ფ. ტორესი, კეჟმანი (მაქსი როდრიგესი 57)
მწვრთნელი: პეპე მურსია
**ოსასუნა:** რიკარდო, ისკიერდო, კლავერო, კრუჩაგა, ხოსეჩო, პუნიალი, დ. ლოპესი (რაულ გარსია 81), მუნიოსი, დელპორტი, მილოშევიჩი (ვებო 63), რომეო (კორალესი 60)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: მუნიოსი, გალეტი, დელპორტი, მოლინერო, კლავერო, ისკიერდო, ლუქსენი, კლავერო
გაძევება: კლავერო (58), იბაგასა (89)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
35 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 1:2 დეპორტივო**
1:0 ლუის გარსია (43), 1:1 ივან კარილი (68), 1:2 ტრისტანი (89)
**ესპანიოლი:** ირაისოსი, დ. გარსია, ლოპო, სანჩესი, ე. კოშტა (მოიზესი 50), საბალეტა, იტო, ხუანფრანი (კორო 70), პანდიანი (არმანდუ სა 60), ლუის გარსია, ტამუდო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, კაპდევილა, ექტორი, დე გუცმანი (ივან კარილი 68), სერხიო, ვიქტორი, არისმენდი, მუნიტისი (გალიარდო 57), რუბენი (ტრისტანი 46)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: კოშტა, მანუელ პაბლო, მოლინა, გალიარდო, სერხიო, ვიქტორი, საბალეტა, ლოპო
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
40 000 მაყურებელი

**სევილია 3:0 ხეტაფე**
1:0 ხავი ნავარო (21), 2:0 სავიოლა (31), 3:0 ლუის ფაბიანო (39)
**სევილია:** პალოპი, ხავი ნავარო (ბრუნო 78), დავიდ კასტედო, ესკუდე, დანიელ ალვესი (კრესპო 56), ხესუს ნავასი (ფ. სალესი 66), ადრიანო კორეირა, მარტი, მარესკა, სავიოლა, ლუის ფაბიანო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
**ხეტაფე:** ლუისი, კონტრა (პაჩონი 72), მ. პერნია, რ. პულიდო (ბელენგერი 62), ტენა, დ. რივასი, მარიო კოტელო, ნანო (ვივარ დორადო 46), ალბერტო, რიკი, პაუნოვიჩი
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: კონტრა, ნანო, დანიელ ალვესი, ხავი ნავარო, რივასი, დავიდ კასტედო
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
35 000 მაყურებელი






**ვილიარეალი 2:1 მალაგა**
1:0 ფრანკო (10), 2:0 ტაკინარდი (19), 2:1 ხერარდო (21პ)
**ვილიარეალი:** ბარბოსა, ხავი ვენტა, პენია, ხოსემი, არზო, ხოსიკო, ტაკინარდი, რიკელმე, ფორლანი (გიარე 77), ხოსე მარი (კალეხა 69), გ. ფრანკო
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
**მალაგა:** არნაუ, შურერი, სეზარ ნავასი, ალექსისი, ხერარდო, ნაჩო (სალვა ბალესტა 81), მ. რომერო (ა. იდალგო 67), მანუ სანჩესი, დუდა (ხ. რიბეირო 10), ხ. როდრიგესი, კუნაგო
მწვრთნელი: მანოლო იერო
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
18 000 მაყურებელი

**ბილბაო 1:0 სარაგოსა**
1:0 იესტე (74)
**ბილბაო:** ლაფუენტე, ლაკრუსი, ლ. პრიეტო, ორბაისი, მურილიო, ამორებიეტა (ლორენტე 67), იულენ გერერო (ეჩებერია 53), იესტე, ირაოლა, უსტარიცი (ტიკო 77), ურსაისი
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
**სარაგოსა:** სესარი, გ. მილიტო, ტოლედო (არანსაბალი 78), კაპი, სავიო, პონციო, სელადესი, ოსკარი, საპატერი (ხენერელო 78), ევერტონი, დ. მილიტო (ლაფიტა 72)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: კაპი, გერერო, საპატერი, ეჩებერია
მსაჯი: მედინა კანტალეხო
39 000 მაყურებელი

**კადისი 2:2 სოსიედადი**
0:1 პრიეტო (8), 0:2 გარიტანო (47), 1:2 ესტოიანოფი (67), 2:2 ლობოსი (88პ)
**კადისი:** ლიმია, დე ლა კუესტა, ბერიცო, ხ. ვარელა (ესტოიანოფი 63), ველა, მ. პავონი (ოლი 59), ფლურკინი, ლობოსი, ბეზარესი (მორანი 59), ენრიკე, ხონათან სესმა
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
**სოსიედადი:** რიესგო (ალბერტო 26), ლაბაკა, სიფუენტესი, ანსოტეგი, ვიაფარა, გარიტანო, გარიდო, მ. ალონსო, ხ. პრიეტო, მ. გონსალესი (სკოუბო 75), გარი ურანგა (ნოვო 63)
მწვრთნელი: ხოსე მარი ბაკერო
გაფრთხილება: გარიტანო, ოლი
მსაჯი: ესკინას ტორესი
17 000 მაყურებელი

**ალავესი 2:0 ბეტისი**
1:0 ალოიზი (19), 2:0 ნენე (54)
**ალავესი:** კოსტანცო, დ. კორომინა, ხუანიტო, სარიეგი, გასპარი, დე ლუკასი, ედუ ალონსო, ასტუდილიო, ნენე (ივონ ბეგონია 82), ბოდიპო (მენა 78), ალოიზი (კარპინტერო 67)
მწვრთნელი: მარიო ლუნა
**ბეტისი:** პედრო კონტრერასი, ლ. ფერნანდესი, ხუანიტო, რივასი (დანი 70), ფ. ვარელა, მელი (ფერნანდო 26), ხოაკინი, მ. ასუნსაო, მ. ანხელი (კაპი 53), რობერტი, ედუ
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: ფერნანდესი, კორომინა, ანხელი, სარიეგი, რივასი, კარპინტერო
გაძევება: დე ლუკასი (63)
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
14 000 მაყურებელი

**რასინგი — რეალი**
*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*


AFP ფოტოები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 35 | 24 | 7 | 4 | 75:29 | 79 |
| ვალენსია | 36 | 19 | 11 | 6 | 56:30 | 68 |
| რეალი | 35 | 19 | 9 | 7 | 61:31 | 66 |
| ოსასუნა | 36 | 20 | 5 | 11 | 46:40 | 65 |
| სელტა | 36 | 19 | 3 | 14 | 42:31 | 60 |
| სევილია | 35 | 17 | 8 | 10 | 45:34 | 59 |
| დეპორტივო | 36 | 15 | 10 | 11 | 46:42 | 55 |
| ვილიარეალი | 36 | 13 | 14 | 9 | 45:36 | 53 |
| ხეტაფე | 36 | 14 | 9 | 13 | 51:47 | 51 |
| ატლეტიკო | 36 | 13 | 11 | 12 | 43:35 | 50 |
| სარაგოსა | 36 | 9 | 16 | 11 | 42:48 | 43 |
| მალიორკა | 36 | 9 | 13 | 14 | 33:48 | 40 |
| ესპანიოლი | 36 | 10 | 10 | 16 | 37:55 | 40 |
| ბილბაო | 36 | 9 | 12 | 15 | 35:44 | 39 |
| სოსიედადი | 36 | 11 | 6 | 19 | 46:62 | 39 |
| ბეტისი | 36 | 9 | 11 | 16 | 31:49 | 38 |
| რასინგი | 35 | 8 | 13 | 14 | 32:43 | 37 |
| ალავესი | 36 | 8 | 11 | 17 | 35:53 | 35 |
| კადისი | 36 | 7 | 12 | 17 | 30:49 | 33 |
| მალაგა | 36 | 5 | 9 | 22 | 36:61 | 24 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 25 |
| ვილია (ვალენსია) | 23 |
| რონალდინიო (ბარსელონა) | 16 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 14 |
| რონალდო (რეალი) | 14 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 13 |

**XXXVII ტური**
6-7 მაისი

| | | |
|---|---|---|
| ვალენსია | : | ატლეტიკო |
| ბეტისი | : | მალიორკა |
| სარაგოსა | : | ალავესი |
| დეპორტივო | : | ბილბაო |
| ბარსელონა | : | ესპანიოლი |
| სოსიედადი | : | სელტა |
| ხეტაფე | : | კადისი |
| მალაგა | : | სევილია |
| რეალი | : | ვილიარეალი |
| რასინგი | : | ოსასუნა |

**ცოტა** უცნაურად გახდა „ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონი — რაიკარდის ბიჭებმა „სელტასთან" უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ გასახდელს მიაშურეს და მეორეადგილოსანი „ვალენსიას" „მალიორკასთან" დამარცხების ამბავი გაიგეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „ლამურებმა" პრიმერას მოგების შანსი დაკარგეს და ოქროს მედლებიც „ბარსას" ერგო. კატალონიურმა გრანდმა მეთვრამეტე ჩემპიონობა გასახდელში იზეიმა (რაც აქამდე არ მომხდარა), ხოლო მოედანზე დაბრუნებულმა ბარსელებმა „სელტა" მაინც დაამარცხეს, პრიმერას მთავარმეგოლე ეტოომ კი თავისი 25-ე გოლი შეაგდო... ერთ რამედ ღირდა პრატის აეროპორტში დაბრუნებული „ბარსას" ინჩასებთან შეხვედრა. ათიათასობით ფანმა კლუბის ავტობუსი ლამის ხელში აიტაცა და ისე მიარბენინა „კამპ ნოუს" სტადიონამდე... მედიის წარმომადგენლებმა კი ჩემპიონებზე ნადირობა დაიწყეს.

ფრანკ რაიკარდი: „როცა გასახდელში „ვალენსიას" წაგების ამბავი შევიტყვეთ, ბიჭებს ველარ ვამაგრებდი — მოედანზე დაბრუნება ნამდვილად გაუჭირდათ... თუმცა შემდეგ ყველას დაუმტკიცეს, რომ პროფესიონალები არიან და გარანტირებული ჩემპიონობის მიუხედავად, „სელტას" დარი ძლიერი გუნდის სტუმრად დამარცხება შეუძლიათ, ახლა კი მარტო „არსენალთან" მატჩზე ვფიქრებთ."

რონალდინიო: „ამ კლუბში იმიტომ მოვედი, რომ თანაგუნდელებთან ერთად „ბარსელონას" ახალი ისტორია შემექმნა. ასეც ხდება. „ბარსელონამ" უკვე ზედიზედ მეორედ იზეიმა ჩემპიონობა, რაც ნამდვილად დავიმსახურეთ."

სამუელ ეტოო: „საამსეზონო პრიმერას მოგება შარშანდელზე უფრო ძნელი იყო, ჩვენ ხომ ორი დიდი ტურნირის, ჩემპიონთა ლიგისა და ესპანეთის ჩემპიონობის მოსაგებად ვიბრძოდით... „სელტასთან" 25-ე გოლი გავიტანე და, რა თქმა უნდა, პრიმერას მთავარმეგოლეობაც მინდა, თუმც უმთავრესი „ბარსელონას" გამარჯვებაა."

ხუან ლაპორტა, „ბარსელონას" პრეზიდენტი: „ჯილდო „ბარსამ" შეუპოვარი შრომისა და ბრწყინვალე სანახაობისთვის დაიმსახურა. გუნდში ნამდვილი ჰარმონია სუფევს, რაც იმის იმედს მაძლევს, რომ „ბარსელონა" მომავალშიც დარჩება მეტოქეთა რისხვად. გულშემატკივრებს კარგი საჩუქარი მივუძღვენით. ვეცდებით, ინჩასები უკმაყოფილონი არც ჩემპიონთა ლიგის ფინალში დარჩნენ..."

„ბარსელონას" სიხარულს ესპანური პრესა შესაბამისად გამოეხმაურა. მადრიდულ გაზეთებში ანუ „რეალის" მეხოტბეებში და კატალონიელთა „მტრებში", ჩემპიონის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაუშურებიათ. თავად კატალონიურ მედიას კი მრავალფეროვანი დითირამბებისთვის სად ეცალა, „ელ მუნდო დეპორტივოს" გუშინდელ თავფურცელზე მილიონი სიხარულის შემცველი **CAMPEON!** ეწერა.

**ლადო ხომერიკი**



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

G ჯგუფი

საფრანგეთი, შვეიცარია, სამხრეთ კორეა, ტოგო

# ნაყმევი ნაბატონარს დაეპატიჟა



ოტო პფისტერი

**ორი წლის** წინ ვინმეს რომ ეთქვა, ტოგო მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებსო, სასაცილო იქნებოდა, მაგრამ, აგერ, ფაქტია, რომ ქვეყანა, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე გერმანიის კოლონია გახლდათ, ისტორიაში პირველად მუნდიალზეა.

შესარჩევი ტოგომ გვინეასთან 0:1 მარცხით დაიწყო, მაგრამ საპასუხო მატჩში 2:0 იმარჯვა და ჯგუფურ ეტაპს უწია. ჯგუფიდან ტოგოს გასვლას ვერავინ ივარაუდებდა, ფავორიტი სენეგალი გახლდათ, რომლისთვისაც, წინასწარი პროგნოზით, წინააღმდეგობა ზამბიას უნდა გაეწია. თუმცა, მიუხედავად მძიმე სტარტისა, ტოგოელებმა თამაში გამოასწორეს, შინ ყველა მატჩი მოიგეს, სტუმრად ლიბერიას და სენეგალს დაუზავდნენ, ხოლო ერთადერთი მარცხი ზამბიასთან იწვნიეს და სენსაციურად გავიდნენ პირველ ადგილზე. გადამწყვეტი გამოდგა ბოლო მატჩი, როდესაც ტოგო ბრაზავილში ორჯერ აგებდა კონგოსთან, მაგრამ საბოლოოდ აბდულ კუბადიას დუბლით 3:2 მოიგო.

* * *

*მწვრთნელი:* ტოგო მუნდიალზე ნიგერიელმა სტეფან კეშმა გაიყვანა, მაგრამ წლეულს აფრიკის თასზე ცუდი თამაში აღარ აპატიეს და ნაკრები 69 წლის გერმანელ ოტო პფისტერს ჩააბარეს, რომელიც წარსულში ფეხბურთელი გახლდათ და კარიერის უდიდესი ნაწილი შვეიცარიულ „კიასოში" გაატარა.

| 23:10 | 492 | ნიუელსი-ხიმნასია ლპ | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 489 | კოლონი-სან ლორენსო | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| 23:10 | 491 | ინდეპენდიენტე-ბოკა ხუნიორსი | 4.10 | 3.30 | 1.75 | 1.82 | 1.22 | 1.14 |
| 22:30 | 493 | ოლიმპო-ხიმნასია ჟ | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 497 | აუდაქსი-უნ.კატოლიკა | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:45 | 500 | კოკიმბო-უნ.ესპანიოლა | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 502 | ჰიგინსი-რეინჯერსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 505 | უ.კონსეპსიონი-უაჩიპატო | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 498 | კობრესალი-უონდერერსი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 23:45 | 499 | კოლო კოლო-კობრელოა | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 23:45 | 501 | ევერტონი-უნ.ჩილე | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 23:00 | 503 | პუერტო მონტი-ანტოფაგასტა | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 20:00 | 504 | მორნინგი-სერენა | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | **ეჩ.2006(17) ლუქსემბურგში** | | | | | | |
| | | **5 მაისი** | | | | | | |
| 19:30 | 554 | ესპანეთი(17)-რუსეთი(17) | 1.90 | 3.20 | 3.30 | 1.19 | 1.20 | 1.62 |
| 19:00 | 555 | სერბეთი(17)-ბელგია(17) | 2.00 | 3.30 | 3.10 | 1.24 | 1.21 | 1.59 |
| 21:00 | 556 | გერმანია(17)-ჩეხეთი(17) | 1.90 | 3.20 | 3.30 | 1.19 | 1.20 | 1.62 |
| 21:30 | 557 | ლუქსემბურგი(17)-უნგრეთი(17) | 10.00 | 7.00 | 1.10 | 4.11 | 1.00 | 1.00 |
| | | **ჰოლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 509 | აიაქსი-პსვ | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| | | **ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი 2006 (ლატვია)** | | | | | | |
| | | **5 მაისი** | | | | | | |
| 17:15 | 651 | აშშ-ნორვეგია | 1.12 | 6.00 | 8.50 | 1.00 | 1.00 | 3.51 |
| 18:15 | 652 | ფინეთი-სლოვენია | 1.04 | 7.00 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 3.93 |
| 21:15 | 653 | კანადა-დანია | 1.06 | 7.00 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 3.93 |
| 22:15 | 654 | ჩეხეთი-ლატვია | 1.30 | 4.70 | 5.00 | 1.01 | 1.03 | 2.42 |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 17:15 | 655 | სლოვაკეთი-ბელარუსი | 1.25 | 4.60 | 6.00 | 1.00 | 1.03 | 2.60 |
| 17:15 | 656 | შვეიცარია-იტალია | 1.20 | 5.20 | 7.00 | 1.00 | 1.02 | 2.98 |
| 21:15 | 657 | რუსეთი-ყაზახეთი | 1.05 | 8.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.80 |
| 21:15 | 658 | შვედეთი-უკრაინა | 1.06 | 7.50 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 4.09 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10009 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 1.85 | 2.30 | 5.30 | 1.02 | 1.37 | 1.60 |
| 10010 | ბლექბერნი-სიტი | 2.00 | 2.00 | 5.30 | 1.00 | 1.45 | 1.45 |
| 10011 | ბოლტონი-ბირმინგემი | 1.85 | 2.20 | 5.30 | 1.00 | 1.37 | 1.55 |
| 10012 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.00 | 2.00 | 5.30 | 1.00 | 1.45 | 1.45 |
| 10013 | ფულემი-მიდლსბრო | 2.00 | 2.00 | 5.30 | 1.00 | 1.45 | 1.45 |
| 10016 | ნიუკასლი-ჩელსი | 3.15 | 2.00 | 2.75 | 1.22 | 1.46 | 1.15 |
| 10018 | პორტსმუთი-ლივერპული | 4.70 | 2.00 | 1.95 | 1.40 | 1.37 | 1.00 |
| 10020 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 4.00 | 2.00 | 2.25 | 1.33 | 1.44 | 1.05 |
| 10266 | ლე მანი-ლანსი | 3.30 | 2.00 | 2.80 | 1.24 | 1.51 | 1.16 |
| 10267 | ლილი-ლიონი | 2.85 | 2.00 | 3.30 | 1.17 | 1.52 | 1.24 |
| 10268 | მარსელი-სტრასბური | 1.55 | 2.50 | 8.50 | 1.00 | 1.31 | 1.93 |
| 10270 | ნანტი-ბორდო | 3.00 | 1.90 | 3.20 | 1.16 | 1.54 | 1.19 |
| 10272 | ნიცა-მეცი | 1.90 | 2.10 | 6.50 | 1.00 | 1.47 | 1.58 |
| 10273 | პსჟ-აიაჩო | 1.80 | 2.20 | 8.00 | 1.00 | 1.46 | 1.72 |
| 10274 | სოშო-ტრუა | 2.45 | 2.00 | 4.00 | 1.10 | 1.51 | 1.33 |
| 10275 | სტ.ეტიენი-რენი | 3.50 | 2.00 | 2.65 | 1.27 | 1.50 | 1.13 |
| 10276 | ტულუზი-მონაკო | 2.85 | 1.90 | 3.20 | 1.13 | 1.50 | 1.19 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11009 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11010 | ბლექბერნი-სიტი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11011 | ბოლტონი-ბირმინგემი | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11012 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11013 | ფულემი-მიდლსბრო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11016 | ნიუკასლი-ჩელსი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11018 | პორტსმუთი-ლივერპული | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11020 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.50 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11266 | ლე მანი-ლანსი | 3.90 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11267 | ლილი-ლიონი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.30 |
| 11268 | მარსელი-სტრასბური | 1.55 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11270 | ნანტი-ბორდო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11272 | ნიცა-მეცი | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11273 | პსჟ-აიაჩო | 1.75 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11274 | სოშო-ტრუა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11275 | სტ.ეტიენი-რენი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11276 | ტულუზი-მონაკო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

## ფორმულა 1. 5 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 28.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 240.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ვილნევი | 55.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 7.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 240.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | როსბერგი | 32.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 11.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 4.30 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | იდე | 250.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 2.30 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტხარდი | 80.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 12.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | უებერი | 29.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 27.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტეირო | 230.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 3.70 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 40.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ხაიდფელდი | 65.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ლიუცი | 120.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | კლიენი | 130.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | სპიდი | 200.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 19.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15008 | არსენალი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ბლექბერნი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ბოლტონი-ბირმინგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ფულემი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ნიუკასლი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | პორტსმუთი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15266 | ლე მანი-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15267 | ლილი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15268 | მარსელი-სტრასბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15270 | ნანტი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15272 | ნიცა-მეცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15273 | პსჟ-აიაჩო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15274 | სოშო-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15275 | სტ.ეტიენი-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15276 | ტულუზი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16009 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 1.20 | 3.30 |
| 16010 | ბლექბერნი-სიტი | 1.25 | 3.20 |
| 16011 | ბოლტონი-ბირმინგემი | 1.20 | 3.30 |
| 16012 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.25 | 3.20 |
| 16013 | ფულემი-მიდლსბრო | 1.25 | 3.20 |
| 16016 | ნიუკასლი-ჩელსი | 1.80 | 1.60 |
| 16018 | პორტსმუთი-ლივერპული | 3.10 | 1.25 |
| 16020 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 2.60 | 1.35 |
| 16266 | ლე მანი-ლანსი | 1.85 | 1.65 |
| 16267 | ლილი-ლიონი | 1.60 | 1.90 |
| 16268 | მარსელი-სტრასბური | 1.06 | 4.50 |
| 16270 | ნანტი-ბორდო | 1.70 | 1.90 |
| 16272 | ნიცა-მეცი | 1.15 | 3.90 |
| 16273 | პსჟ-აიაჩო | 1.10 | 4.00 |
| 16274 | სოშო-ტრუა | 1.40 | 2.50 |
| 16275 | სტ.ეტიენი-რენი | 2.30 | 1.45 |
| 16276 | ტულუზი-მონაკო | 1.60 | 1.90 |

### გოლი: ლუწი-1 ან კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17008 | არსენალი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ბლექბერნი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ბოლტონი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ფულემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17014 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ნიუკასლი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | პორტსმუთი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17266 | ლე მანი-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17267 | ლილი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17268 | მარსელი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17270 | ნანტი-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17272 | ნიცა-მეცი | 1.85 | 1.95 |
| 17273 | პსჟ-აიაჩო | 1.85 | 1.95 |
| 17274 | სოშო-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17275 | სტ.ეტიენი-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17276 | ტულუზი-მონაკო | 1.85 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12009 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ბლექბერნი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ბოლტონი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | ფულემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12014 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1.90 | 1.70 |
| 12016 | ნიუკასლი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12018 | პორტსმუთი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12020 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12266 | ლე მანი-ლანსი | 1.45 | 2.50 |
| 12267 | ლილი-ლიონი | 1.50 | 2.40 |
| 12268 | მარსელი-სტრასბური | 1.60 | 2.00 |
| 12270 | ნანტი-ბორდო | 1.40 | 2.60 |
| 12272 | ნიცა-მეცი | 1.55 | 2.30 |
| 12273 | პსჟ-აიაჩო | 1.60 | 2.20 |
| 12274 | სოშო-ტრუა | 1.50 | 2.40 |
| 12275 | სტ.ეტიენი-რენი | 1.45 | 2.40 |
| 12276 | ტულუზი-მონაკო | 1.50 | 2.30 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო) კი/არა)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13009 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ბლექბერნი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ბოლტონი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13013 | ფულემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13014 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1.85 | 1.70 |
| 13016 | ნიუკასლი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13018 | პორტსმუთი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13020 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13266 | ლე მანი-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 13267 | ლილი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13268 | მარსელი-სტრასბური | 1.90 | 1.60 |
| 13270 | ნანტი-ბორდო | 1.70 | 1.90 |
| 13272 | ნიცა-მეცი | 1.70 | 1.90 |
| 13273 | პსჟ-აიაჩო | 1.90 | 1.60 |
| 13274 | სოშო-ტრუა | 1.70 | 1.90 |
| 13275 | სტ.ეტიენი-რენი | 1.70 | 1.90 |
| 13276 | ტულუზი-მონაკო | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14009 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 1.20 | 2.50 |
| 14010 | ბლექბერნი-სიტი | 1.40 | 2.30 |
| 14011 | ბოლტონი-ბირმინგემი | 1.20 | 2.50 |
| 14012 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.40 | 2.30 |
| 14013 | ფულემი-მიდლსბრო | 1.40 | 2.30 |
| 14016 | ნიუკასლი-ჩელსი | 1.80 | 1.80 |
| 14018 | პორტსმუთი-ლივერპული | 2.40 | 1.40 |
| 14020 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 2.30 | 1.55 |
| 14266 | ლე მანი-ლანსი | 1.90 | 1.80 |
| 14267 | ლილი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 14268 | მარსელი-სტრასბური | 1.04 | 2.90 |
| 14270 | ნანტი-ბორდო | 1.90 | 1.90 |
| 14272 | ნიცა-მეცი | 1.30 | 2.50 |
| 14273 | პსჟ-აიაჩო | 1.13 | 2.50 |
| 14274 | სოშო-ტრუა | 1.65 | 2.20 |
| 14275 | სტ.ეტიენი-რენი | 2.00 | 1.80 |
| 14276 | ტულუზი-მონაკო | 1.90 | 1.90 |

## საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი

# აზოტი ფინალში ფიგურულად შესრიალდა

4 მაისი. რუსთავი

**თსუ 1:3 აზოტი**

**აზოტი 66:62 თსუ-ნიკორა**

*26:12 15:17 16:12 9:21*

**აზოტი:** ჟღენტი (9), გოგობერიშვილი (19), ჭოჭუა (9), ბაბიაშვილი (20), იმნაძე (5); ტუჯანი (9), ბოისა (2), არწივიძე, ჩაჩუა, ცეკვავა

**თსუ-ნიკორა:** ვეფხვაძე (3), მარხვაშვილი (4), ლეჟავა (16), დიდია (3), სანიკიძე; ბეჟანიშვილი (12), ი. ბერიშვილი (10), მუშკუდიანი (9), მაისურაძე (4), ტყეშელაშვილი (1), კეშელავა

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**ირაკლი პერტაია** *რუსთავიდან*



რუსთავის „აზოტი", სამჯერ ფინალში დამარცხებული ქვემოქართლული გუნდი კვლავ ჩემპიონობის ზღვარზეა. ბოლოს რუსთაველებმა 2000 წელს ითამაშეს საჩემპიონო სერია და „ბასკოსთან" წააგეს. მათ ამჟამინდელ ოქროს მოცილეს კი დღეს საღამოს „ავიამშენისა" და სტუ-ს სუპერფინალი ანუ მეხეთე მატჩი გამოავლენს.

რუსთავის „ქიმიკოსთა" დარბაზში გუშინ დიდი ამბავი იყო. მასპინძლები ნახევარფინალური სერიის ბოლო საშინაო მატჩს თამაშობდნენ და ნამდვილად არ სურდათ ბრძოლის თბილისში გადატანა. მოგება ფინალის საგზურს უნაღდებდა სერიაში 2:1 დაწინაურებულ „აზოტს" და მასპინძლებმაც მოინდომეს, თამაშში მთელი ჯიგარი ჩააქსოვეს და იმარჯვეს კიდეც, მაგრამ...

მთლიანობაში მატჩი დაძაბული იმ ელემენტარული მიზეზის გამო ვერ გამოვიდა, რომ „აზოტი" ნიადაგ უპირატესობდა და გვარიანადაც, თუმც ბოლო მეოთხედში თსუ-მ ამბები დაატრიალა, იშვიათად რომ ნახავთ ჩვენს ჩემპიონატში.

დაწვრილებით აღვწერთ ამ დრამატული მატჩის ბოლო წუთს, მაგრამ თუ განმარტება თავშივე არ დავურთეთ, შეიძლება, ცოტა გაუგებრად და უცნაურად გეჩვენოთ. საქმე ისაა, რომ ბოლო წუთზე, როცა თამაშის ბედი წყდებოდა, 3 ქულით ჩამორჩენილი თსუ კი გაафთრებით უტევდა მასპინძლებს, სტუდენტებმა მოედანზე ფეხის დაცურების გამო ბურთი სამჯერ დაკარგეს.

„ეს თამაში თითქმის მოგებული გვქონდა, ბოლო მეოთხედში 16-ქულიანი ჩამორჩენა სამამდე შევამცირეთ და მატჩიც ჩვენი კარნახით მიდიოდა, მაგრამ სველმა იატაკმა გაგვაწამა. ბოლო წუთებზე ერთხელ ვერ შევუტიეთ, ბიჭები სწრაფად ვერ გადაადგილდებოდნენ, ისე ცურავდა ფეხი" — ჩიოდა ნამატჩევს „თსუ-ნიკორას" თავკაცი დავით უსტიაშვილი.

„მოლიპული" იატაკი, ცხადია, ორივე გუნდისთვის წარმოადგენდა ხელშემშლელ ფაქტორს, მაგრამ ფაქტია, რომ გადამწყვეტ მომენტში სწორედ სტუმრებს უმუხთლა ოფლით დანამულმა ფიცარნაგმა და ყველაზე საჭირო ეპიზოდში სტუდენტებმა ბურთი მეტოქეს ჩააბარეს.

საწყისი სამი მეოთხედის აღწერა ნიშნავს, რომ „აზოტი" უნდა ვაქოთ და ვადიდოთ. მასპინძლებმა პირველივე წუთებზე რომ გაილაღეს, ბოლო მეოთხედამდე მეტოქე 10 ქულაზე ახლოს აღარ მიუშვიათ.

ოთარ ხმელიძის შეგირდებს ყველაფერი გამოსდიოდათ, განსაკუთრებით ჟოლივეტ ტუჯანი, ზვიად ბაბიაშვილი და რამაზ გოგობერიშვილი გამოირჩეოდნენ. ამ ტრიოს არც დანარჩენი რუსთაველები ჩამორჩებოდნენ და მასპინძლებს ულხინდათ კიდეც, სანამ ბოლო მეოთხედმა არ მოატანა.

გადამწყვეტი ათწუთეულის დაწყებამდე ქვემოქართლელები 57:41 იგებდნენ, რაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „აზოტი" რუსთაველებით გაძეძგილ „ქიმიკოსთა" დარბაზში თამაშობდა, მასპინძელთა გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა. თუმცა სტუმრებმა საკუთარი ფარის წინ ისეთი კედელი ააშენეს, რომ რუსთაველებმა 8 წუთი (!) ბურთი ვერ ჩააგდეს.

დავით უსტიაშვილის გუნდმა „მოძრავი" ზონა დააყენა, რომელიც პერიმეტრზე ისე მჭიდროდ გამაგრდა, საჯარიმოში მეტოქეს არ უშვებდა. დაიწყო ბოლო მეოთხედი და თბილისელებმაც იწყეს ქულების ხვეჭა, აი, რუსთაველები კი არათუ ქულებს ვერ აგროვებდნენ, თსუ-ს ფარს ვერც კი უახლოვდებოდნენ.

მასპინძლებს ერთადერთი გზა დარჩათ, სამქულიანები მოიმარჯვეს, მაგრამ ბარე ათი მცდელობა გააცუდეს და როცა თსუ-ელმა ბესიკ ლეჟავამ მორიგი ორქულიანი მიითვალა, ანგარიში 57:53 გახდა. ანუ გადამწყვეტი მეოთხედის საწყისი 8 წუთი „აზოტმა" 0:12 წააგო და იმ უპირატესობიდან 4 ქულაღა შემორჩა.

დარბაზში ვითარება ისე დაიძაბა, ალბათ დაინგრეოდა, „აზოტს" რომ ვერ მოეგო, მაგრამ მასპინძლებმა წუთშესვენება აიღეს და ამან გაუმართლათ. ხმელიძის თანაშემწე ზურაბ ტომარაძე აზოტელებს ისე ემოციურად აძლევდა დავალებას, შეტევაში იმოძრავეთ, გაშეშებული ნუ დგახართო, რომ მოედანზე დაბრუნებული მასპინძლები ციბრუტივით დატრიალდნენ.

„აზოტის" სამწვრთნელო შტაბმა მოედანზე რამაზ გოგობერიშვილი დააბრუნა, რომელმაც თამაში საკუთარ თავზე აიღო და საჯარიმოებით ორი ქულა მიითვალა. მალე მან კიდევ ერთი ქულა მოინაგრა და „აზოტს" თითქოს გული საგულეს ჩაუბრუნა — 60:53, სირენამდე 100 წამით ადრე.

თსუ-მ მთელ მოედანზე პრესინგი გააჩაღა, ბურთიც მოიპოვა და ირაკლი ბერიშვილის სამიანითა და ლეჟავას ერთი საჯარიმოთი თამაშის დასრულებამდე წუთით ადრე სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა.

აი, იმ მომენტსაც მივადექით, როცა თამაშის შემომტრიალებელი სტუდენტები გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ, მაგრამ... დანამულ იატაკი და ფიგურულ სრიალს დამსგავსებული კალათბურთი!

შემდეგ კიმოედანი ხალხით გაივსო, რუსთავი ფინალში გასვლას ზეიმობდა და საჩემპიონოდ იფშვნეტდა ხელებს...



AFP

დეტროიტელმა რიჩარდ ჰამილტონმა მილუოკელებს ბურთიც დაუმალა და 40 ქულაც ჩაუგდო

## 2006 NBA Playoffs

# ვაშინგტონს კლივლენდი მოელანდა

3 აპრილი

**აღმოსავლეთი**

**კლივლენდი 3:2 ვაშინგტონი**

**კლივლენდი 121:120 ვაშინგტონი**

ძირითადი დრო 107:107

**კლივლენდი:** ჯეიმსი (45), ჰიუზი (24), სნოუ (18)

**ვაშინგტონი:** არენასი (44), ჯემისონი (32), ბატლერი (20 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი, 4 ჩაჭრა)

„კლივლენდ კავალიერზი" რომ პირადად ლებრონ ჯეიმსის გუნდია, გუშინწინ შავმა მზეჭაბუკმა ერთხელაც დაამტკიცა — 45 ქულა უმარჯვა „ვაშინგტონს" და ამასთან ოვერტაიმის დამთავრებამდე 0,9 წამით ადრე საოცარი ბურთიც ჩააგდო, როცა მისი გუნდი 139:140 აგებდა. ლებრონმა სირენამდე 3 წამით ადრე, „ვაშინგტონის" ნახევარზე მარცხენა კუთხეში ლარი ჰიუზისგან მიიღო პასი, პირითი ხაზიდან შეუტია, ანთაუნ ჯემისონი გააცუცურაკა და ერთბაშად სამი მოწინააღმდეგის — მაიკლ რუფინის, ჯილბერტ არენასის და ბრენდან ჰეივუდის გარემოცვაშიც მოახერხა სროლა. ბურთი ხელების ტყეში გასხლტა და კალათში ჩაეშვა.

მთლიანად თამაშიც ისეთივე დაძაბული და საინტერესო გამოვიდა, როგორც დასასრული. ჯეიმსმა და დედაქალაქელთა ყოჩმა ჯილბერტ არენასმა მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთმანეთს სისხლი გაუშრეს. საბოლოოდ პირველს მეტად გაუმართლა. ახლა „კლივლენდს" ერთი მოგებაღა აცილებს სერიაში გამარჯვებამდე, რაც 1993 წლის შემდეგ აუხდენელ ნატვრად ქცევია. 1998 წლიდან კი სულაც არ უთამაშია პლეი ოფში.

**დეტროიტი 4:1 მილუოკი**

**დეტროიტი 122:93 მილუოკი**

**დეტროიტი:** ჰამილტონი (40), რ. ვოლესი (22), ბილაფსი (17)

**მილუოკი:** რედი (23), გაძურიჩი (13)

ექს და ვიცე-ჩემპიონი „დეტროიტ პისტონზი" პლეი ოფის დაწყებამდე „მილუოკი ბაქსის" 4:0 შემუსვრას გეგმავდა, მაგრამ შემდეგ რაუნდში 4:1 გამარჯვებით გასვლაც არ დაუტოვებს დაუკმაყოფილებლობის კომპლექსს. მით უფრო, რომ დეტროიტელებმა ბოლო შეხვედრაში დაუღეჭავად გადაყლაპეს მილუოკელები და „კლივლენდ" — „ვაშინგტონს" შორის გამარჯვებულსაც გემრიელად დანაყრებულები დაელოდებიან.

ამ შეხვედრაში „დეტროიტს" სერიის დაწყებისას მცირედ დაშავებულმა სახენილბიანმა რიჩარდ ჰამილტონმა ულიდერა, ვინც საბოლოოდ 40 ქულა მოაგროვა და პირადი საპლეიოფო რეკორდი დაამყარა. „პისტონზმაც" გამოაცხო ერთი მცირე რეკორდი — თავის ისტორიაში პირველად მოახერხა საპლეიოფო თამაშის პირველივე მეოთხედში 39 ქულის ჩაგდება.

ბევრი რამეც სწორედ საწყის 12-წუთეულში გადაწყდა, რომელშიც მასპინძლებმა მხოლოდ 2 ქულას დააჯერეს „მილუოკის" ჩუბინი ლიდერი მაიკლ რედი და პირველ შესვენებაზე 16-ქულიანი უპირატესობითაც გავიდნენ. რედი მეორე მეოთხედში გამოცოცხლდა, ქულებიც აკრიფა, მაგრამ „მილუოკიმ" მეტოქის დაცვას ბევრიც ვერაფერი დასტყუა, სხვაობას მხოლოდ 2 ქულა მოაკლო, მესამე მეოთხედში კი „დეტროიტმა" ახლა უკვე რაშიდ ვოლესის ლიდერობით 18:2 გაქცევა მოაწყო და თამაშსაც აზრი დაეკარგა.

**კოტე ყორშია**

# ლაბაძე და არაბთ-არაბი



**საკმაოდ** ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ირაკლი ლაბაძემ კვლავ შეახსენა თავი საჩოგბურთო სამყაროს. როგორც ჩანს, საქრთველოს ნაკრების წარმატებამ და მისმა კარგმა თამაშმა ირაკლის მოტივაცია შემატა და ჩვენებურიც პირად ფრონტზეც საკამოდ კარგად გამოიყურება. ლაბაძე ამჯერად ჩრდილოეთ აფრიკაში, ტუნისის ასეთივე სახელწოდების მქონე დედაქალაქში მიმდინარე მეორე თანრიგის ტურნირზე, ეგრედ წოდებულ ჩელენჯერში თამაშობს და ჯერჯერობით საკმაოდ წარმატებითაც.

მეორე თანრიგობის მიუხედავად ტუნისში საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, როგორც ჩანს იმიტომაც, რომ ასეთი რანგის ტურნირისთვის საპრიზო ფონდიც სოლიდურია — 125 00 დოლარი. ყოველივე ამის გათვალისწინებით ჩვენებურის კარგი თამაში განსაკუთრებით დასაფასებელია.

ლაბაძემ აგერ უკვე ორი წრის გავლა მოასწრო და თანაც ყოველგვარი პრობლემა-გართულების გარეშე. ქართველი პირველ წრეში ესპანელ დანიელ ხიმენო-ტრავერს შეხვდა და ორ სეტში მოუგო. ირაკლის შემდეგი მეტოქე უფრო სერიოზული შეხვდა — კიდევ ერთი ესპანელი ოსკარ ერნანდესი, რომელიც ტუნისში მეოთხე ნომრად იყო განთესილი. მეტოქე წინასთან შედარებით სერიოზულიც იყო და თამაშიც უფრო დაძაბული გამოდგა, თუმც ჩვენებურს არც ახლა დაუთმია სეტი. ერთი ეგ იყო, რომ ტაიბრეკის თამაში მოუხდა, მაგრამ ლაბაძემ გადამწყვეტ მომენტებში აქაც იყოჩაღა და მესამე წრეშიც გაიკაფა გზა.

აქ კი ჩვენებურს საკამოდ სერიოზული გამოცდა ელის არც თუ დიდი ხნის წინ საკმაოდ ძლიერი ჩოგბურთელის რეპუტაციის მქონე მაროკოელი იონეს ელ აინაუის სახით. ეს აფრიკელი თიხნარის სპეციალისტად ითვლება და თავის დროზე არა ერთი ფავორიტი გაუმწარებია. თუმც ამ ბოლო ხანს თავი არაფრით გამოუჩენია და ბევრმა თითქოს მიივიწყა კიდეც. თუმც მისი დამარცხება ლაბაძეს მაინც ძალიან გაუჭირდება, რადგან ელ აინაუი ფაქტობრივად სახლში თამაშობს და მაყურებლის მხარდაჭერაც გარანტირებული აქვს.

# ქართველები კვალიფიკაციიდან უკვალოდ ჩამოვიდნენ

**თურქეთის** კურორტ ანთალიაში ფედერაციის თასის გათამაშების ჩამთავრების შემდეგ ქალთა 25-ათასიანი ტურნირი დაიწყო. საქართველოს ნაკრები იქ სრული შემადგენლობით დარჩა. ლალი ზერეკიძის ოთხეულს თეონა ცერცვაძე და სოფო შაფათავაც შეუერთდნენ. ნაკრების ლიდერ მაკა ჩახნაშვილის გარდა, ყველა ჩვენებურმა საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო, მაგრამ ხუთიდან ორი — სოფო ქეცბაია და თეონა ცერცვაძე — პირველ წრეშივე დამარცხდნენ.

ია ჯიქიას, მანანა შაფაქიძესა და სოფო შაფათავას კი მხოლოდ ორორჯერ მოუწიათ კორტზე გასვლა.

მაკა ჩახნაშვილიც მეორე წრეში დამარცხდა, ოღონდ ძირითად ბადეში. ფრანგი კლერ დე ბუბერნატის 3:6, 6:4, 6:4 ძლევის შემდეგ მეოთხედფინალის გზა საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელ ქალს ავსტრიელმა ტინა შიეშტლმა გადაუკეტა.



მაკა ჩახნაშვილი

**ოთარ მაღლაკელიძე**

**კაცები**

ეშტორილი. პორტუგალია. თიხნარი. საპრიზო 531 250 €

**მეორე წრე**

**ალბერტ პორტასი** (ესპანეთი) — გაელ მონფილზი (4, საფრანგეთი) 3:6 7:6 6:4; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — ნიკოლას მასუ (7, ჩილე) 2:6 7:6 6:4; **ჟილ მიულერი** (ლუქსემბურგი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:1 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (2, რუსეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 4:6 6:1 6:2

**კაცები**

მიუნხენი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 323 250 €

**მეორე წრე**

**რობინ ვიკი** (ჩეხეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) 7:6 4:6 6:4; **იარკო ნიემინენი** (3, ფინეთი) — ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 7:6 6:3; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 5:7 6:3 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 3:6 6:0 7:5; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — სიმონ გრეილი (გერმანია) 6:3 1:6 6:4

**ქალები**

ვარშავა. პოლონეთი. თიხნარი. საპრიზო 600 000 $

**მეორე წრე**

**ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:4 6:3; **კიმ კლაისტერსი** (1, ბელგია) — იულია ვაკულენკო (ბელგია) 6:3 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე** (5, იტალია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:4 6:1; **ელენა დემენტიევა** (3, რუსეთი) — ტატიანა პერებინისი (უკრაინა) 6:2 6:0; **აგნეშკა რადვანსკა** (პოლონეთი) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:1 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 6:3 6:1



მარატ საფინმა ესტორილში ნიკოლაი დავიდენკოსთან წააგო







შუმახერმა სენას ფანტასტიკური რეკორდი დაამხო

# მიხაელმა აირტონის დევნას თორმეტი წელი შეალია

**ხვალ** ევროპის საპირველფორმულო დიდი პრიზის საკვალიფიკაციო გაჯიბრება მოეწყობა და მიხაელ შუმახერი ნიურბურგის ტრასაზე პირველად გავა რეკორდსმენის რანგში.

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ იმოლაში პოულის მოგებით 37 წლის დიადმა გერმანელმა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ აირტონ სენას ფანტასტიკური მიღწევა დაამხო.

„ჯადოქარმა" ბრაზილიელმა 11-წლიან კარიერაში 65-ჯერ მოიპოვა პოულ-პოზიცია. უკანასკნელად, 12 წლის წინათ, 1994 წლის 30 აპრილს სწორედ „იმოლაზე", სადაც მეორე დღეს ტრაგიკულად დასრულდა მისი ხანმოკლე, ზეკაშკაშა სიცოცხლე.

სენამ სან მარინოს დიდი პრიზისთვის ბრძოლა ყველაზე წინმდგომმა დაიწყო და ლიდერობას იმ საბედისწერო მეხუთე წრემდე ინარჩუნებდა, როცა ჩქაროსნულ მოსახვევ „ტამბურელოში" მისი „უილიამს-რენო" ბეტონის კედელს მიეხეთქა. ავარია კატასტროფული სულაც არ ყოფილა, ფატალური შედეგი იმან გამოიწვია, რომ მომტვრეული ბორბლის ღერძმა ჩაფხუტი გაგლიჯა და მძღოლს თავში შეერჭო. აირტონი 34 წლის იყო...

ნიშანდობლივია, რომ სენას რეკორდი სწორედ იმოლას ტრასაზე დაეცა. შუმახერმა პოული 66-ედ თავის 234-ე ეტაპზე მოიგო, რაც 28,2 პროცენტია და „ჯადოქრის" შედეგიანობას(40,4) მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

უმაღლესი მაჩვენებელი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ხუან მანუელ ფანხიოს აქვს. არგენტინელი „მაესტრო" 1950-57 წლებში 51-დან ნახევარზე მეტ — 29 გაჯიბრებაში ყველაზე წინ იყო, რაც 57 პროცენტს შეადგენს. ფანხიოს შემდეგ 45-45 პროცენტით ორგზის ჩემპიონები, ჯიმ კლარკი და ალბერტო ასკარი დგანან.

სენამ პირველად კვალიფიკაცია 25 წლისამ თავის მე-17 ეტაპზე, პორტუგალიაში მოიგო „ლოტუს-რენოთი". შუმახერმაც პირველი პოულ-პოზიცია 25 წლის ასაკში მოიპოვა, ოღონდ შედარებით გვიან, 26-ე რბოლაში (მონაკო, „ბენეტონ-ფორდი").

შუმის ყველაზე მეტი — რვა საკვალიფიკაციო გამარჯვება აქვს იაპონიაში, სულ კი 19 დასახელების ეტაპზე იდგა პირველ სასტარტო პოზიციაზე.

ამრიგად, „სამეფო რბოლების" შვიდგზის გვირგვინოსან მიხაელ შუმახერს უკვე ყველა ყველაზე პრესტიჟული მიღწევა ეკუთვნის — ჩემპიონის ტიტული, მოგებული რბოლა, კვალიფიკაცია, უსწრაფესი წრე და კარიერაში დაგროვილი ქულები.

დარჩა ერთადერთი, ნაკლებ მნიშვნელოვანი, თუმც ფრიად საპატიო — საფორმულო რბოლებში მონაწილეობის რეკორდი, რომელსაც 1992 წლიდან რიკარდო პატრეზე ფლობს. იტალიელი პილოტი 256-ჯერ გავიდა სტარტზე. ისიცაა სათქმელი, რომ იგი ტიტულს ერთხელაც ვერ შესწვდა და მხოლოდ ექვსი დიდი პრიზის დასაკუთრება შეძლო.

მიხაელს რიკარდოს რეკორდის ხელყოფაც შეუძლია, რადგან გაისადაც აპირებს ჯირითს და შუა სეზონში „საბებრო" მიღწევასაც დაეპატრონება.

**გია ახალაძე**

| | მრბოლი | ქვეყანა | პოული | რბოლა |
|---|---|---|---|---|
| 1 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | 66 | 234 |
| 2 | აირტონ სენა | ბრაზილია | 65 | 161 |
| 3 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | 33 | 72 |
| | ალენ პროსტი | საფრანგეთი | 33 | 199 |
| 5 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | 32 | 187 |
| 6 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | 29 | 51 |
| 7 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 26 | 162 |
| 8 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | 24 | 171 |
| | ნელსონ პიკე | ბრაზილია | 24 | 204 |
| 10 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 20 | 115 |
| 11 | მარიო ანდრეტი | აშშ | 18 | 128 |
| | რენე არნუ | საფრანგეთი | 18 | 149 |
| 13 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | 17 | 99 |
| 14 | სტირლინგ მოსი | დიდი ბრიტანეთი | 16 | 66 |
| 15 | ალბერტო ასკარი | იტალია | 14 | 31 |
| | ჯეიმს ჰანტი | დიდი ბრიტანეთი | 14 | 92 |
| | რონი პეტერსონი | შვედეთი | 14 | 123 |
| 18 | ხუან-პაბლო მონტოია | კოლუმბია | 13 | 88 |
| | ჟაკი იქსი | ბელგია | 13 | 116 |
| | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | 13 | 126 |
| | ჟაკ ვილნევი | კანადა | 13 | 156 |
| | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 13 | 176 |
| | რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | 13 | 218 |
| 24 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | 12 | 197 |
| | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 12 | 210 |
| 26 | იოხენ რინდტი | ავსტრია | 10 | 60 |
| 27 | ფერნანდო ალონსო | ესპანეთი | 9 | 72 |
| 28 | კიმი რაიკონენი | ფინეთი | 8 | 89 |

# საქართველო იაპონიიდან ამოდის

## ირბ-მ ლელოებს ვალი დაბალი კურსით დაუბრუნა



მალხაზ ჭეიშვილი

*საქართველოს ნაკრებისთვის მაისი უქმე თვე უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაგბის საერთაშორისო საბჭოს ჩარევით, ჩვენებმა რვადღიანი და ორმატჩა ტურნე გაახერხეს იაპონიაში. რაგბის საერთაშორისო საბჭომ კი ეს ტურნე იმიტომ გააჩალიჩა, რომ შარშან ქართველებმა ბლომად ფული დახარჯეს ურუგვაის სამასპინძლოდ, მაგრამ ლათინოსნები არ ჩამოვიდნენ და მსოფლიო რაგბის მამებმაც რაკი ურუგვაი არ დასაჯეს, ჩვენებს ზარალი ამ ტურნეთი აუნაზღაურეს.*

*10 მაისს ბორჯღალოსნები კიოტოში, იაპონიის მეორე, ანუ „ა“ ნაკრებს ეთამაშებიან, 14 მაისს კი მათ ეროვნულ გუნდს ოსაკაში ეჭიდებიან. ევაა, რომ ჩვენებს არ ეყოლებათ შერკინების ძირითადი პირველი ხაზი და უკანა ხაზის საკვანძო მოთამაშეები. საქართველოს ნაკრების იაპონურ ტურნირზე ჩვენების მთავარ მწვრთნელ მალხაზ ჭეიშვილს გავესაუბრეთ.*

— იაპონური ტურნე ძალიან კარგი და სასარგებლო იქნება ნაკრებისთვის, მაგრამ პრობლემაა ისაა, რომ იაპონიასთან ჩვენი მატჩის თარიღი რაგბის საერთაშორისო საბჭოს ოფიციალურ კალენდარში არ არის შეტანილი. ამით ჩვენს ლეგიონერებს პრობლემები შეექმნათ. კლუბებს აქვთ უფლება, თავისი სურვილისამებრ იმოქმედონ. უნდათ, გამოუშვებენ მორაგბეებს, უნდათ — არა. ჩვენ ვერაფერს ვიზამთ. ყველაფერი კლუბების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

— რომელი მორაგბეები დააკლდებიან ნაკრებს?

— გადაწყვეტილია, რომ იაპონიაში ვერ ჩამოვლენ საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე ძმები — აქვსენტი და ირაკლი გიორგაძეები, მორკინალები — გოდერძი შველიძე, რომელმაც მხრის ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა და დავით ზერაქაშვილი. კლუბში სანაკრებოდ არ ათავისუფლებენ ბეზიელ ირაკლი მაჩხანელს, იტალიის „როვიგოს“ გარემარბ ბესიკ ხამაშურიძეს და საეჭვოა, მონპელიელი მამუკა გორგოძის თამაშიც.

— გამოდის, შერკინების ძირითადი პირველი ხაზი არ გეყოლებათ...

— ასეა და თან უკანა ხაზშიც პრობლემები გვექნება, მაგრამ არა უშავს, ამ ბიჭების შესაძლებლობები ვიცით და საშუალება გვექნება, ახალბედები გამოვცადოთ.

— იმის გათვალისწინებით, რომ ძირითადი შემადგენლობის თითქმის ნახევარი არ იქნება, იაპონიასთან რა შანსი გაქვთ?

— თქმა არ უნდა, იაპონიას ძლიერი ნაკრები ჰყავს, ჩვენზე ყველანაირად წინ არის. საკმაოდ სერიოზული მეტოქეა და ვერ ვიტყვი, როგორ დასრულდება მატჩები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ იაპონიაში 9 მაისს ჩავდივართ და მომდევნო დღესვე გვაქვს პირველი მატჩი, ხოლო ოთხი დღის შემდეგ იაპონიის ძირითად ნაკრებს ვეთამაშებით.

— შეიძლება ითქვას, ამ ტურნეთი შემოდგომაზე დასაწყები მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადებით?

— დიახ, ასეა, იაპონიაში ახალბედებსაც გამოვცდით და ვისაც წავიყვანთ, მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირისთვის ძირითადად ამ კონტინგენტს დავეყრდნობით.

**ბაჩო სვანიძე**

### ბორჯღალოსნები იაპონიაში

*ირაკლი აბუსერიძე, ოთარ ბარკალაია, გიორგი ჩხაიძე, დავით გასვიანი, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ელიზბარაშვილი, მამუკა გორგოძე, პალიკო ჯიმშელაძე, ავთანდილ კოპალიანი, გიორგი კუთარაშვილი, გიორგი კაჭარავა, გია ლაბაძე, ზვიად მაისურაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ბიძინა ამხარაძე, გიორგი შკინინი, თემურ სოხაძე, მიხეილ სუჯაშვილი, ბესიკ უდესიანი, მალხაზ ურჯუკაშვილი, ილია ზედგინიძე, დავით კაჭარავა, ირაკლი ნატრიაშვილი, რევაზ გიგაური*





# მიზანი ერთია

## მსროლელებმა პრეზიდენტი გამოიცვალეს

**სროლის** სახეობათა ეროვნულ ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. გუშინ ეს თანამდებობა ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილემ და ოპერატიული დეპარტამენტის თავმჯდომარემ ლევან მხეიძემ შეითავსა. მსროლელები სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში შეიკრიბნენ და მთავარი საქმე დაახლოებით ერთ საათში მოაგვარეს.

რიგგარეშე ყრილობა აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტ ვახტანგ ქუთათელაძის განცხადების წაკითხვით დაიწყო. ქუთათელაძემ გამგეობას სთხოვა, ვადაზე ადრე დაეტოვებინა თანამდებობა. მიზეზად დროის უქონლობა დაასახელა. დარბაზში მყოფმა 52-ივე დელეგატმა დააკმაყოფილა ექსპრეზიდენტის სურვილი. რამდენიმე წუთში ერთხმადვე აირჩიეს მხეიძე, ხოლო იქამდე ვიცე-პრეზიდენტ თამაზ იმნაიშვილის ანგარიში მოისმინეს, ფედერაციის 2002-2005 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

არჩევნები ღია კენჭისყრით ჩატარდა. ისედაც ნათელი იყო, რომ მხეიძის კანდიდატურას მოწინააღმდეგე არ ჰყავდა. ერთსულოვნება არც ფედერაციის სხვა მაღალჩინოსნების არჩევისას დარღვეულა. იმნაიშვილი და ნინო სალუქვაძე ვიცე-პრეზიდენტებად დატოვეს, გივი ბოსტოღანაშვილი კი გენერალურ მდივნად.

ლევან მხეიძე: „მოხარული ვარ, რომ ამხელა ნდობა დავიმსახურე. სპორტის ეს სახეობა ჩემთვის უცხო არაა. ვეცდები, მის განვითარებასა და აღორძინებაში ჩემი წვლილი შევიტანო. გარკვეული ძვრები წლეულსვე უნდა მოხდეს. თუ წარმატებაზე ფიქრი გვსურს, სპორტსმენებს სავარჯიშოდ და ტურნირებისთვის მოსამზადებლად ყველანაირი პირობა უნდა შევუქმნათ.“

ნინო სალუქვაძე: „დღევანდელ ყრილობაზე გამოჩნდა, რომ ყველას სჯერა ახალი პრეზიდენტის და მზადაა, მის გვერდით დადგეს. ეს ხალხი ენთუზიაზმზე მუშაობს, რაც ძალიან ძნელია. განსხვავებული აზრი არც ერთს არ ჰქონია. გვჯერა, ჩვენი იმედი რეალობად იქცევა.“

**ოთარ მაღლაკელიძე**


# წამალი „სალხინო“

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

**. მიიღეთ წამალი „სალხინო“ და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.**

„სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

**იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში**

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე 3,30 დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.




# ჰლეი ოფი 2006

3 მაისი

**დასავლეთი**

**კალგარი 3:4 ანაჰაიმი**

**კალგარი 0:3 ანაჰაიმი**

*0:0 0:2 0:1*

0:1 სელიანე (26), 0:2 სალეი (40), 0:3 ფრიზენი (60)

**დასავლეთში** უნიკალური შემთხვევა დაფიქსირდა. კონფერენციის ოთხივე მაღალ ნომრად განთესილმა გუნდმა წააგო და შესაბამისად თასისთვის ბრძოლას „სუსტი“ ოთხეული აგრძელებენ. ბოლოს „კალგარი“ გატყდა, რომელიც მეშვიდე მატჩამდე იბრძოდა „ანაჰაიმთან“. ასე რომ, 2004 წლის თასის ფინალისტები პლეი ოფის მიღმა დარჩნენ. მიუხედავად ქომაგთა მხურვალე მხარდაჭერისა, „ალებმა“ ვერაფერი მოუხერხეს მეტოქეს, რომელმაც პირველ პერიოდში უშფოთველად გაუძლო მასპინძელთა შეტევებს, მეორეში კი თავისი უპირატესობა — სისწრაფე გამოიყენა. გადამწყვეტი დარტყმა ამ „სალუნურ ჩხუბში“ ტეემუ სელიანემ გააკეთა, რომელმაც მიიკა კიპრუსოფი მოულოდნელი დაფარული დარტყმით გააოგნა. პერიოდის მიწურულს კი რუსლან სალეის შორეულმა დარტყმამ „კალგარის“ მეკარე და მასპინძლები ნოკაუტში ჩააგდო, რაც ბოლო მესამედმაც დაადასტურა.

*თასის მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ*

**აღმოსავლეთი**

ოტავა – ბუფალო

კაროლინა – ნიუ ჯერსი

**დასავლეთი**

სან ხოსე – ედმონტონი

ანაჰაიმი – კოლორადო



AFP კალეიდოსკოპიდან

კალგარელებმა ანაჰაიმელი ტოდ ფედორუკი ბორტს მიაჭეჭყეს, მისი გუნდი კი ვერა


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge